

ტერესების წინააღმდეგობაზე ამყარებდნენ. ამით მხოლოდ ჩვენ თავდაზნაურობაში და ბურჟუა-ინტელეგენტებში იშოვეს ვასა ვალი, მუშა ხალხი კი მიუღამ შორს, გაუზომელ მანძილზე იყო მათგან. რატომ? იმიტომ რომ იგინი გონებით ბრძვები იყვნენ, ხალხის ნამდვილ, ძირითად ინტერესებს ვერ ამჩნევდნენ. ნაციონალურ შეღავათების მოთხოვნით და გახორციელებით ფიქრობდნენ ხალხის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას. ამათაც არა ერთხელ იგემეს ეგრეთ წოდებული მესამე დასვლების იერიში, რომლის ძალას, რა თქმა უნდა, ვერასოდეს ვერ უძლებდნენ იგინი.

ცხოვრება შეიცვალა. ვებერთელა რუსეთის მიღწებულ-ლი მაჯის ცემა აჩქარდა. ქვეყანა გამოფხიზლდა და ახლო-მომავალი თავისუფლების წითელი სხივით შეიღება. არეულობა, მოედო მთელ რუსეთს და ჩვენმა კავკასიაშუკ მდგრადი გაიწია წინ უკეთესი მომავლისაკენ. პროტესტანტების რაზმში პირველი ალაგი, რასაკვირველია, პროლეტარიატმა დაიკავა და მისი პარტია ყველაზე უფრო მძლავრი და შეურყეველი შეიქნა სულიერათა. ქალაქის მუშა ხალხი და სოფლის გლეხობაც, როგორც მოსალოდნელი იყო, მუშათა ინტერესების დამცველებს შეუერთდნენ და აი, სწორეთ აქ დაიწყო ის, რაც მოსალოდნელი იყო.

ჩვენმა ბურჟუა-ნაციონალისტებმა დაინახეს რომ მომქმედი ძალა, მუშა ხალხი სხვა მხარეზეა; მიხედნენ, რომ მათ დაუგვიანებიათ, შეხედეს აზვირთებულ ცხოვრებას, და როგორც კრილოვის კუდიმელას მწიფე ყურძნის დანახვაზე—ისე მსუნაგათ გაუბრწყინდათ თვალები და „პირის ნღომის ნერწყვი მოადგათ“. მარა გვიან და იყო: ხალხმა გაასწრო მათ ცხოვრებაში და იგინი ხალხის მაჩანჩალო და დარჩენ. არც აქ გაუტყდათ გული ჩვენ ბურჟუა-ნაციონალისტებს. მათ წამს იცვალეს ფერი: დაიწყეს მუშა ხალხზე ლაპარაკი, დასწერეს ერთი ორი მოწოდების წერილი ქართულ მუშათაადმი, ერთი სიტყვით თავიანთი თავი დემოკრატებათ გამოაცხადეს; ამითაც არ დაკმაყოფილდნენ და ზოგიერთი მათგანი სოციალიზმის მომხრეები გახდნენ და თავის უმთავრეს ლოზუნგათ საქართველოს ავტონომიო აღიარეს...

აი მოკლეთ ჩვენი ფედერალისტ-ავტონომისტების ჯგუფი ევოლიუციის ისტორია. ჩვენ დაყანახეთ, რომ იგინი საქართველოს ძველი ბურჟუების პირდაპირი შთამომავალნი ყოფილან. მათ თავისი პირდაპირი, ბურჟუაზიული ინტერესები ფსევდო-დემოკრატიულ ქერქში გახვიეს, რომ ასეთი ოინით მეტი მომხრე გადაიყვანონ თავისკენ. იქნებ იგინი გულწრფელად თვლიდნენ თავის თავს მშრომელი ხალხის ნამდვილი ინტერესების დამცველათ! იქნებ მართლა სურთ და სწამთ იმათ სოციალიზმი? ამ უკანასკნელ კითხვაზე უკვე დაიბეჭდა წერილი ჩვენ ჟურნალში (იხ. „მოგზ.“ № 26, წერილი ბ. ხან—დონისა) იმ წერილში აშკარათ გამოირკვა, რა ნაირთა და რა საშვლებით ფიქრობენ ჩვენი ფედერალისტები სოციალიზმის გახორციელებას. *)

ასეა თუ ისე, რას ნიშნავს მათი ფებმოკლედ დე-

მოკრატობა, მუშა ხალხის მოწოდება და ავტონომიისაკენ ლტოლილება დიდი ხანია გაივარ ხალხმა. შორს არ არის ის დროც, როდესაც ცრუ-დემოკრატიული ქერქი ანაზღვეულათ შემოეკლებათ და ნაქუქიდან ტიპიური ბურჟუა-ნაციონალისტები გამოგორდებიან, სწორეთ ისეთნი, როგორც არიან შთამომავლობით. გადავიღის თუ არა ეს დემოკრატების სეზონი, მოისპობა თუ არა ბიუროკრატიული თვითმპყრობელობა—ჩვენი ნაციონალისტები და ერთი იმათ მაგვარი პარტია, რომელმაც დღეს ხელი გაუწოდა მათ და თავის ფრთას ქვეშ შეისვა, როგორც კრუხი შეისვამს წიწილებს—ერთბაშათ განციფრთებიან, გაკვირვებით დაუწყებენ ცქერას ერთმანერთს და მწარე საყვედურის კილოთი წარმოსთქვამენ: ბიქოს! გამარჯვება შენი... მართალი ყოფილა ანდაზა. „არა შეჯდა მწყერი ხესა—არა იყო გვარმისიო“ და ხმა-გაკმენდილი ჰკრავენ თავს ბურჟუაზიის და ისევ ბურჟუა-ნაციონალისტებს ბანაკში. ჩვენს ფედერალისტებს ძალიან უხარიათ როცა მათ დემოკრატებს უწოდებენ; მაგრამ ვაი თქვენი ბრალი, თუ მათი საიდუმლო გამოაჟღავნეთ და ქვეყნას ცალ-ცალკე დაანახვეთ მათი ნიღაბი და მათი ნაპდვილი სხე. მაშინ მათ ბრაზს და რისხვას საზღვარი არა აქვს. როგორ თუ ჩვენ გვაგინებთ? როგორ თუ გვლანძღავენ? იცით ვინა ხართ თვენ? თქვენ უზრდელები, სალახანები ხართო, მოგვდგებიან გაფათრებული ავტონომისტები—სწორეთ ისე, როგორც გენერალ ოტავტონომიი „ივერია“ მოგვდგა 122 ნომერში. დაიხ, გავინებთ ბატონებო! თუ გნებავთ გლანძღავთ კიდევ, „ბატ. ივერია“! გავინებთ და გლანძღავთ, რადგან თქვენ და თქვენისთანებს ნებსითი თუ უნებლიეთ გინდათ ძირი გაუთხაროთ ხალხის მომავალს. თქვენ თქვენი ცრუ დემოკრატობით გსურთ გზა-კვალი აუბნოთ ხალხს და ჩვენ კი ვერ მოვითმენთ ამას. ვერ მოვითმენთ, რადგანაც არ გვინდა, რომ ნამდვილი კლასობრივი ინტერესების შეგნება დაუბნელდეს ხალხს და თქვენ მიერ წამონასროლ ცრუ ლოზუნგის ანკესზე ერთი რა ირის, ერთი კაციც წამოიფოს. იქნებ, აქაც გვისაყვედუროთ: არ შეიძლება ამ დასვლებმა კლასთა ბრძოლის გაზევირებულ ფრაზეზით არ დაიწვიონ ყოყოჩობაო! დიდ ბოდიშს ვიხდით თქვენს წინაშე, რომ ჩვენ ჩვენი პრინციპები როგორც გეტყობათ, გვაქვს და ამ პრინციპებს ვერ ავსკდებთ; თქვენ კი უბრინციპობა გირჩევენათ და ღმერთმა ხელი მოგიმართოს! ხოლო, რომელი სჯობია: პრინციპიანობა თუ უბრინციპობა—ამაზე პასუხს ჩვენ აღარ მოგვეცემ“ და, მკითხველმა გასაჯოს...

მომავალი მარჯა.

II

როგორც წინა წერილში ვთქვით, ჩვენთვის წარმოუდგენელია რაიმე შედეგის მიღწევა დღეს ისეთი კერძო რეფორმებით როგორც არის თუნდ ერობას შემოღება. დღეს რეფორმები კი არ არის საქირო და ხალხას მიზანი, არამედ ერთი, მაგრამ ძირითადი რეფორმა—ხალხის ცხოვრების განთავისუფლება და მთელი სისტემის შეცვლა, უშუალოდ ხალხისაკენ ინიციატივით და მეოხებით. რამდენათ ამას უარყოფს რომელიმე რეფორმა ანუ რეფორმატორი, იმდენათ დამარბებულია იგი მიზანს. ასეთია ჩვენი აზრით მომავალი ერობის საქმეც, ასეთია, რადგან როგორც მისი შემუშავების საქმე ის მომავალი წესდებაც წოდებრივი და ქონებრივი ცენზის ნიადაგზე არის დამყარებული. ამას არაფერს უშველის არც ზოგიერთ „რადიკალთა“ მიერ განზრახული განათლების

*) ახირებული სოციალიზმი ყოფილ მათი სოციალიზმი! მათ უნდათ ხალხის გამდიდრებით (sic!) დაამყარონ სოციალიზმი! არ გავციონათ, მკითხველო? მარა აქ სასაცილო რა არის? განა ტყუილს ამბობენ ბატონი ფედერალისტები? მშვენიერი საშვლებება. თუ ყველა მუშები მდიდრები და კაპიტალისტები გახდებიან, იმას რალა სჯობია? აი მაშინ უნდა ნახო სკირო! თითოეულ მუშას თავისი ქარხანა აქვს, მანქანები შეუსვენებლათ ტრიალებენ... მაგრამ ვინდა იმუშაოს ამ ქარხნებში? აღბათ, თითონ ფედერალისტები იკისრებენ ამ საძნელო საქმეს, რათა თავიანთი სოციალიზმი არ გაუბნაოდიდთ, ან და ახლანდელ ბურჟუა კაპიტალისტებს ჩააბამენ საქმეში შურის საძიებლათ.

ცენზის შეტანა, ხოლო კიდევ უფრო დააშორებს ხალხს და ცხოვრებას ის საზოგადოება, რომელსაც რუსული ანუ, უკეთ ვთქვათ, სახელმწიფო ენის ცოდნის მოთხოვნას შეიტანს საქმეში და რომელიც განზრახული აქვთ მოხსენების შემდგენელ (იხ. „მოხსენება“ გვ. 18). დღევანდელი მოძრაობის დევნილი „მომბა-ერთობა-თანასწორობა“, რომელიც უნდა დაამყაროს თავისუფლებამ, მაგრამ სულ უმცირესი რომ ავიწროთ **თანასწორობა** მინც უნდა მოყვეს მას. მომავალი ერობა კი ამასაც არ გვიქადის, რადგან დღეს წოდებრივ ნიადაგზე იწყება მუშაობა მის განსახორციელებლათ, ხოლო ცენზი აუცილებელ პირობით არის მიღებული მომავლისათვის და ამ გზას არ უღალატებენ არც საგუბერნიო და არც სამაზრო სათათბიროები, რადგან თვით ისინი ამ ქონებრივ უთანასწორობის ნიადაგზე იქნებიან შედგენილი. აქ არ იქნება გამოთქმული ხალხის აზრი, რადგან დღეს ხალხს არცა აქვს აზრის გამოთქმის უფლება, და პირიქით ყოველი ზომა მიღებული, რაც გამოითქვა, ისიც ამოიშალოს ისტორიის ფურცლებიდან. არ შეიძლება ხალხის აზრის გაგება და გამოთქმა სანამ არ არის მიღებული სიტყვის, ბეჭდვის და კრების თავისუფლება. ყოველივე ეს კი, როგორც მოგეხსენებათ სასტიკათ აკრძალულია, და ყოველი „თავისუფალი მოაზრე“ კარგავს თავისუფლებას! საიდან უნდა გამოირკვეს ხალხის აზრი? მაგრამ ვთქვათ გამოირკვა. მერე, ვისთვის არის იგი საყვარლებული? არავისთვის. მას მხოლოდ „მედეველობაში“ მიიღებენ კითხვის საბოლოოდ გადაჭრის დროს, რაც სრულებით არ ნიშნავს, რასაკვირველია, რომ ამ აზრის თანახმად გადაწყდება კითხვა; პირიქით, უფრო მოსალოდნელია, რომ აზრი აზრით დარჩება, ხოლო საქმე ისე მოეწყობა, როგორც საქმით და უმჯობესესად დანიხავს ხალხს გარეშე მდგომი ბიუროკრატია. თუ ასე არ იყოს, განა საკმაოდ გამოვლენული და გამოკრეველი არ არის დღეს მთელი რუსეთის ხალხის აზრი, როგორც საერთო სახელმწიფო ორგანიზაციის, ისე თვითმართველობის შესახებ! ნუ თუ, აშკარა არ არის, რომ ის ხალხი, რომელიც თხოულობს დამუფრებელი კრების მოწვევას საყოველთაოდ, თანასწორი, პირდაპირი და ფარული კერპის ყრით, თვითმართველობის საქმეშიაც სრული დემოკრატიზმის შეტანას მოითხოვს. მაგრამ არა, ძველი რეჟიმი ამას გარედან მონაბერათ, იმ იმ „დაუდგარი და უკვლევივე წესიერების მოწინააღმდეგე ელემენტები“ გავლენით მიღებული თვისის, რომელთაგან ერობის საქმეს დაცვაც თხოვს მოთათბირების. ამიტომ, მათი აზრით, საქარაა, „დინჯი“, „დარბაისლური“ მსჯელობა „დარბაისელთა“ და მით „ნამდვილი ხალხის“ აზრის გაგება. მაგრამ ზოგის, საუბედუროდ და დანარჩენთა საბედნიეროდ, დღეს გვიანდაა ამ ხერხის მოშველება. მშრომელი უმრავლესობა უფრო მტკიცეთ, ხოლო მოწინავენი არა-მშრომელთაგან უკვე დარწმუნდნენ, რომ სწორეთ ეს „დაუდგარი“ არიან ცხოვრების მეთაურნი და ხალხის ნამდვილი ინტერესების დამცველნი; იგინოვე არიან წესიერებისათვის მებრძოლნი, რადგან ამ წესიერების დამყარება შეიძლება მხოლოდ მშრომელთა მოთხოვნების დაკმაყოფილებით და ცხოვრების ფეოდალურ-ბიუროკრატიული ბორკილებისაგან განთავისუფლებით.

მეტა ასეთ დროს იმის ძიება, თუ რომელი წლის წესდება უფრო შესაფერი იქნება დღევანდელა დღისათვის— 14-ის, 90-ის თუ 903-ის, რომელიც უკანდახვევის ტიპურ ილუსტრაციას წარმოგვიდგენს. დღევანდელმა ცხოვრებამ იმდენათ გაასწრა ყველა ამ წესდებებს, რომ მათზე დაპარაკი შეუძლებელია და ვერც მათი დააინკება უშველის საქმე. უნდა დავივიწყოთ თვით სიტყვა ერობაც,

რადგან მასთან დაკავშირებულია მძიმე წარსულის მოკონება, ამ წარსულის მიერ წარმოშობილ უთანასწორობის ორგანიზაცია და ამას შეუძლია აზრის არე-დარევა. უმჯობესია ვილაპარაკოთ ადგილობრივ თვითმართველობაზე და გავეთვალისწინოთ, როგორი უნდა იქნეს ის მომავალში.

თვითმართველობის მთავარი პრინციპი არის ორი: 1) ის უნდა განაგებდეს დამოუკიდებლათ ყველა საქმეებს, რომელთაც ადგილობრივი მნიშვნელობა აქვთ და შევიდეს ადგილობრივ სახელმწიფო ორგანიზაციას მის საზოგადო დაწყებულებათა განხორციელებაში. 2) ეს თვითმართველობა უნდა სრულდებოდეს ყველა ადგილობრივ მცხოვრებ მკვიდრთა მონაწილეობით. ამ რიგით თვითმართველობა უნდა იყოს, რაც შეიძლება **სრული კონპეტენციით** (მართვის საგანი) და **წმინდა დემოკრატიული**.

6. —გა.

სხვა და სხვა ამბები.

— კახეთის მევენახეთა საზოგადოებას „კახეთს“ უსაფუძვლოდ და უდანაშაულოდ რამდენიმე მუშის დათხოვისათვის თფილისის მუშათა ორგანიზაციამ ბოიკოტი გამოუცხადა. საზოგადოების გაკეობამ 19 ამ თვეს „ანონაში“ მოიწვია თფილისის რესტორანების და ბაღების პატრონები პირის-პირ მოსალაპარაკებლათ ბოიკატის გამოცხადების შესახებ, მაგრამ კრება არ შესდგა. ოცდა ერთ იელისს სალაშოს 7 საათისათვის გაშვებამ საზოგადოების შენობაში ხელმოკრეთ დანიშნა კრება თფილისის გენერალ გუბერნატორის ნებართვით და პოლიციის თანადასწრებით. რესტორანების პატრონებისთვის საზოგადოებას აზრით ქონდა აგხსნა დათხოვნილი მუშების დანაშაულობა და ბოიკატის უსამართლო გამოცხადება. კრებაზე დასწრების სურვილი დათხოვნილმა მუშებმაც განაცხადეს, მაგრამ გამკეობამ ნება არ მისცა და საზოგადოების შენობის წინ თავმოყრილი მუშები, ვაქრები და ხალხი პატრულებმა და პოლიციელებმა გარეკა. საზოგადოების კრება არ შესდგა. საკვირველია საზოგადოების საქციელი და ჯიუტობა, —ყოველ დღე მას საგრძნობელი ზარალი მოდის მაგრამ მუშათა კანონიერი მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება მინც არ უნდა. სჩანს, ვაფიციის წინააღმდეგ ბრძოლის პრინციპს მაგრათ მოუკიდია ფეხი კახეთის გემამულეთა საზოგადოებაში.

— 17 ამ თვეს, სოფ. ქარელის მახლობლათ სოლოლა-შენიდან მომავალ ვ. გ. ინსარიძეს თავს დასხმია ეგრეთ წოდებული «თავდა-ახნაურთა მილიციის» პატარა რაზმი. მილიციონერებს ჯერ თოფები დაუმიზნებიათ, შემდეგ ცხენებით კინაღამ გაუთუელიათ და დაასარულ მათარახები დაუშენიათ.

— როგორც „ივერიას“ შეუტყვია, კავკასიის ნამეტნიკის საბჭოს დაუმტკიცებია ბ-ნი ვეიდენბაუმის პროექტი. ამ პროექტი ძალით გლეხებმა მემამულეებს მოსავლის მეთხედი უნდა აძლიონ. ნეტავი გლეხები როგორ მოიწონებენ ამ დამტკიცებას, რომელიც ენება მათი მოთხოვნილებათა პირველი მნიშვნელოვან მუხლს. როგორც ვიცით გლეხები მხოლოდ მეთედს აძლევენ ადგილის პატრონებს, რაზედაც ბევრმა მათგანმა ვაზეთის საშვალეებით თანხმობა გამოაცხადა.

— კავკასიის რკინის გზაზე მუშათა გაფიცვები მოხდა, რამაც რამოდენიმე დღით შეაჩერა მსჯელობა. მუშები თხოულობდნენ 8 საათის სამუშაო დღეს; გააჩივრებენ რვა პროცენტის მომატებას და ამასთანავე ბინის ფულს. ხსენებულ გზაზე სხვათა შორის ტელეგრაფისტებიც გაფიცულან.

— ქართლში გლგობთა დასამშვიდებლათ გავზიარებო გენერალი ამილახვარი დაბრუნდა. ახლა, როგორც ზოგიერთი სოფლებიდან იწვრებიან, გლგობთა მოძრაობა უფრო მოსდები ქართლის სოფლებს და თან და თან ვრცელდება.

— ამას წინათ მუშტილის ბაღში სეირნობის დროს ვილატ უცნობა პირმა რევოლვერით დასკრა უზნია ზედახედველი სანიკიძე.

—საგანგებო საქმეთა გამოძიებელი ბ-ნი რიბინსკი უკვე შეუდგა თავ. ხერხეულიძის ვაჭრის შესახებ გამოძიებას. პასუხის გებაში არიან მიცემული ინგუში ბას ხასიროვი და პოლიციელი გონაროვი. გუშინ გამოძიებელმა ჩვენება ჩამოართვა თფილისის ყოფილ პოლიცემისტრს კვალიოვს და პოლიცეს ჯაიიშვილს, რომელმაც დაიქარა ხერხეულიძე და პოლიციის მიიყვანა.

და მ ა - ს ო ტ ლ ი ს ა მ მ ე ბ ი

ქ. ნუხა. ნუსხაში ასაღვე ფარაჯა-ქარხანა. უმეტესი ნაწილი აბრეშუმის სახეობა ქარხანებია, დანარჩენი კი თუთუნის ფარაჯები მუშაობს ოთხი სათამაშე კაცი, ქალი და ბავშვები, რვა წლიდან დაწყებული. მეტად აუტანელ მდგომარეობაშია აქაური მუშა. ჩვენ თავი და თავი უურაღებო აბრეშუმის სახეობა ქარხანებს უნდა მივაქცევით. ეს ქარხანები ძალიან ანტიანსიტაღურად არიან მოწყობილი: რა უნდა იყოს თქვენ წარმოდგინეთ დაიდა ოთხი ან ორადეული მძორით და დამაღალი ლეშით სამსაგ. თუ შედით შიგ, ორ-წუთზე მეტს ვერ დაჭყოფთ. უნდა უკან გამოტრიალდეთ, თორემ საშინელი სურია გულს შეგიხეთავთ. სწორედ ამისთანა სურათს წარმოდგენს აქაური ქარხანა. საქმე შემიღებო მდგომარეობის: ამ ქარხანებში ახვევენ აბრეშუმის ძაფს პარკებთან. პარკებში უკვებია (აბრეშუმის ტყეობა) დამაღალი და ეს აუჩუბებს აუტანელ განსჯერში ქარხანაში მომუშავეს. ქარხანებში არ არიან მოწყობილი ვერტიკალიები ჰაერის განსაწმენდა და აბ წარმოდგინეთ რა უნდა მოვლდეს მომუშავეს. შეხედეთ მუშას, რომელიც სულ ოცდაერთი, ოცდაორი წლისა უნდა იყოს და რას დაინახავთ: ადრე დაბურებულს, მისუსტებულს, ჩამოკეითალებულს და ტლექთ ჩაგრ-დნილს. იმ ასაკში, როდესაც კაცი უნდა იფურჩქნებოდეს, ჰეკავოდეს და დონით იკნებოდეს. — ეს ინტელტრიაის მინები ტენებთან და სინტონსლე ესობაში. ქარხანამ აქ სურლიად დამაინჯა მუშა, ატომპიტათ აქცია. გარდა ქარხანაში მუშაობისა სხვა არაფრის ნიჭი აქვს აქაურ მუშას. აი რა მამბო ერთმა შეგნებულმა მუშამ: ჩვენ ვმუშაობთ დილის ოთხსათიდან; დაჭკრავს თუ არა დუღევი, უნდა აუდგეთ დარეტანებულები, მოქანცულნი წინა დღის მუშაობით წაყადეთ და ვიმუშაოთ სადამის რვა საათამდის. ეგ არის შეადღისას ერთი საათით ზურის სატყელათ გვაშეებენ ჩვენი სამუშაო მეტათ ძნელი და აუტანელია. ჩვენ ურევთ ხელებს ოთხმოც გრადუსიან, კაცხელებულ წყალში, ვიღებთ ძაფს და შემიღვე მანქანით ვახვევთ. ჩვენ ცხელი წყალი გვოფუქავს და კვწავს ხელებს. აი! დახედეთ ჩემს ხელებს რად გამიხდა აქ მუშაობით. მან გადაშალა ხელები; ზარდაზირ მესაზარი სურათი წარმომიდგა: ხელი სულ მთლად დასიებული ჰქონდა. დაფუქებული ტუები დაჭებურებოდა და ერთათ გადაჭკროდა, ესლა მე ისე ვარ დამანჯებული ამ ქარხანისაკან, რომ მარტო აი ეს საქმე შემიძლია აკასრულო. სახლში რა გინდა: უბრალო ჩხირის გადაბრუნება არ შემიძლია; საითარში სიცივით რომ ვეკვებოდეთ — არ შემიძლია შეშა დაყვამო. აქ ხომ ხედავთ რა სიძვირეა სანთაკის და სხვა აუცილებელ ნივთების. უთუთო უნდა გაისარჯო, ყარათიანთ იცხოვროს, სახლში ზური მანინ უნდა გამოაცხო, რომ ეკ აუცილებული მითხრებოდა მანინ მომზადებული გქონდეს, მაგრამ არც ეგ შემიძლია. ხელები დაბურებული მაქვს დე ასე არაფერში ვარგარ დანარჩენ საქმისათვის. უკვლავ ამ უბედურებისათვის, რომე-

ლიც აქაურ მუშას აწევს, რა საფარეს გვაძლევს? ზომურს დღეში, ირინათ წარმოსთქვა მან, ე. ი. იმდენს, რათაც შეიძლება დღეს სიმშაღით არ მოკვედ და ხვალ სამუშაოთ გამოვდეთ. ახლაც მალა და ამ ფულით აცხოვრე ცოლ-შვილი... მამინ ჩემი ცოლაც მიქლე-ბულია ამუშავოს. თუმცა ისიც იმდენს მუშაობს, რამდენსაც მე, მაგრამ იმის ფასი აბასხვ და ექვსმარზე მეტს არ ააწევს. ისიც ისევე მოხვედება, როგორც მე და ახლაც წარმოდგინე ჩვენი ცაღ-რება. ჩვენ იძულებული ვართ მივაპაროთ ქარხანაში შვილი, თუ რვა წელს მაღლევს, იმის მავიერათ რომ სკოლაში გავაგზავნით. ამიტომაც არის რომ ჩვენში ცოტამ იცის წერა-კითხვა.

უკვლავ ჩვენგანი ნატრბას სიყვდილს, რომ ასრდეს ვაფრასკოს. რას იხამ? ცნობურება თავისას ოსოლდობს. სად წახედა? ან სად წაუსხვად ამ მუქია-ხორებს, რომელნიც ჩვენ სისხლს და სორცს გვწოვენ ჩვენის ოფლით მონავარს სიმადრეს, ჩვენის დაბურებულ და დაბურებულ ხელებით შექმნილ საქონელს. ჩვენის ჯან-ღონათ, ოფლით კატუნთაღ ოქროს ჯაბეში იხრბაღებს და სიმარეებით დამსვად და წვერებზე ხელს იცდუნებს! შეხედეთ ჩემ ამხანაგებს რას კავან? ან კანში ძალიან იშვიათად ოცე გავდურებთ სიკვდილს, ე. ი. ტლექს. უკვლავ საშინელია გულს ფრიალი გვქვს. ორსოც-და ათ ნამიჯს ვერ გავიბრუნებ, მამხევე გულს ფრიალი აკვავარ-დება და სამუშაოთ აღარ გამოვდებოთ. უკვლავ გული ძალიან სურტი აქვს მეტან-მეტა მუშაობით და ამ უსუფთაობით, რომელიც აქ სე-ფევს. ერთი სიტყვით ქარხანა ჩვენი სმარება. ამას წინათ შექჩი-ღელი მახრას უფრბოს, დაუსურათეო ჩვენი ცაღრებულები ყოფა-ცხოვ-რება და ვიხივოთ, რომ ცოტა მანინ აუღავს ჩვენი სახეიანების თავსულობა, ის მოვლამხარეა მათ და სთხოვა ჩვენი მდგომარეობის გუმჯობესობა. იმათ რასაკვირვებლად დანწევს, რომ ვგორტდე-ბითთ; აბრეშუმით მარსელში გავაგზავნეთ და არ იყიდებთ. ერთის სიტყვით თავიანთ ღათაიებს მოკვევენ. ზარდაზირ სისხლათა მავათი ქცევა. ეგენი სულ მავრე გაიძახან, ვგორტდებოთო, გაახედავ სისხლი ვინ ამხინა? ხახეინმა... ბანკში იფული ვინ შეიტანა? ხახე-ინმა... როგორც ეთ მოგვარებებს და ისე ცოტა დაგვიბთის, რომ მავახედავ არც კი დარს დამარვა, მავრამ ასრულებენ?

სინდისის ექსპლტატაცია აქ უსადლეს წერტილამდე მიაღწია. ინტელტრია წერილ-ბურჟუაზიის ხელშა და ხომ მოგვესწრებთ, თუ როგორ უსუფინდისით იქნევიან ეს ვაჭარბრებთ, რომ თავიანთი ჯიბე გაასქლონ. მრავალ ქარხნისაკან დამანინებულ და სამუშაოთ გამოუსადეკარ მუშას შეხვებით. შეხვებით ტატკელა ბავშვებს, რომელნიც გამოვლელ-გამომვლელს ტირალით ხელს უშეგრენ სთ-ხოვნელათ. ვან არან ესენი? ვისი შვილები არიან ეს სიცოდავი ბავშვები? ნელი გამოსატნობა არ არის... ჰკითხეთ თითონ ბავშვებს ან დამანინებულ, სამუშაოთ გამოუსადეკარ მუშებს, რომელნიც ზო-გაერთა იძულებულია იმათხოვროს, ესენი არიან დამანინებულები, ან სიცოცხლეს ადრე გამოსადეგებულ მუშების შვილები. ესეთ მდგომარეობაში არიან ნუსხის მუშები.

Inter.

დ. ნაოლაღევი. ინეკის მახრა. — 15 ამ თვეს აქაურ მცხოვრებთ პირველ საათზე ესტუმრენ ბათუმში და ზუგდიდში «ბოღესაული» შეგნეკოს რაზმის კახაეები, რომელთაც ახლდენ საპიორის პოლკში უმცროს აფატრათ ზარიტხულით. ნ. დილიანი და წალენჯიხის ბოქაული მ. ასათიანი, ასეთი მოულოდნელი მობრბანება გამოუწვევია იმ ამავეს, ვითარც დ. ნაოლაღევი ხალხს წითელი დროში აემუშავს, დაელოწოს ყველა სასამარ-თლოები და შემდეგს. სალონიში პრინციპისალომის სასახლე დაწებრის. ზემოხსენებული რაზმი გამოსულა ზუგდიდთან 14-ს, საღამოს 10-სათზე. ნაოლაღევის მახლობლათ კახაეების მოსვლამ ხალხში ქაღების კოვლი გამოაწვია. ყველა დიდა და პა-

ტარა ვარბოდა მოედნიდან და გისასყიდლოთ ჩამოტანილი ხილი იქვე რჩებოდათ. უფროსებმა ადგილობრივ პრასტავთან მოსცვენეს. უკანასკნელისათვის მოულოდნელი იყო მათი აქ მობრძანება. ის ელოდა სენაკიდან „პოლსტუნების“, რადგანაც მზერას უფროსის განკარგულება ასეთი იყო. რამოდენიმე წუთის შემდეგ „პოლსტუნებიც“ მოვიდნენ ხალხი კი ამ დროს სოფლათ გახვეწილიყო. ღამე ცხენები გაეშვა რამოდენიმე კახაკს და ერთ მოსახლისთვის ყანები გაეფუტებინა. აგრეთვე სოფლებების განხრეკაც კი მოინდომეს ღამით, მაგრამ ამაზე ადგილობრივი ბოქაული დვალი და „პოლსტუნთა“ „პოდესაული“—ზინჩენკო, არ დათანხმდნენ. შემდეგ შევიწყნკომ მოითხოვა მამასახლისი და დებუტატები და უთხრა: თქვენ მანწაწალო და „პრახეოსტებო“ გატყუებენ, გლუბავენ, მოგვეციოთ ისინი და თქვენ აღარ დაგსჯითო, თორემ, თუ კიდევ მოახდინეთ კრება, მივლს სოფელს გავანადგურებო“, რჩვენ არ ვიცით, სად იმაღლებიან „პრაპავანდისტებო“ უთხრა ყველამ. მეორე დღეს დილით შებრძანდნენ ცხენებზე და წავიდნენ. მ. ბუზურში. „პოლსტუნები“ ჯერ-ჯერობით აქ არიან. სულ 52 კაცია.

ამ წერილს, რომ ვსწრდო, გავიგე, რომ ს. სალხინოს, პრინციპს მამულში ვილასაცი დამით ლეჩხუმელი მუშებისთვის ბუტებებიდან თოფი უსერია და მიმალულა. მეორე დღეს შეიარაღებული უცნობები მისულან და ჟოტკვამთ „თუ თავი არ დანებებთ მუშობას—დაგზოცავთო. ერთი მუშათგანი გაულახავით. მუშები შეშინებულნი არიან, თავს ანებებენ. როგორც გავიგე, მთელი სოფელი უკმაყოფილო ყოფილა მათი. დილით მუშის 40 კ. აძლევს თურმე. ხარჯიც მუშისა არის. მათ მამულებზე ბასილია ლამხიები ცხოვრებენ. ეხლა მათ თურმე პრინციპს აყრას უპირებს.

პარ-ლონ.

ს. საყულია (ქვემო იმერეთი). გელხთა შორსობა აქ მარტიდან დაიწყო. ზირველით ბოაოტი გამოუცხადეს სოფლის ადმინისტრაციას და სკოლას. შემდეგ სისტემატურათ სხდნდენ კრებებს და ბასობდენ თავიანთ ტერ-ვარამზე. ამოიწიეს ასისტოვები და ათისთავები შიანდეს მათ თავ-თავის დროზე ხალხის შეკრება და სხვა სოფლის საქმეები. 3 ივლისს თავი მოიყარა ერთთ სკოლაის და ოფიქვითის შესწორებულმა, რიცხვით 2000-დე კაცმა ილაპარაკეს თავის ტერ-ვარამზე და შეიმუშავეს შემდეგი მოთხოვნებიანი.

1. შემოღებულ იქნას თავისუფალი მშრომელობა, საყოველთაო, ზირდაზირი, დაზურული და თანასწორი საარსებო სმას უფლებით.
2. სავალდებულო უფასო სწავლა-განათლება ორივე სქესის ბავშვებისთვის 16 წლამდე.
3. გაუქმდეს მუდმივი ჯარი და შემოღებულ იქნას საყოველთაო შეიარაღება საჭიროების დროს.
4. მოიხიოს ზირდაზირი და არა ზირდაზირი გადასახადი, მის მაკარათ დაწესდეს გადასახადი შემოსავლის კვალობაზე. 500 კონაკები შემოსავალი ვასაც ქქეს, განთავისუფლდეს მისიან.
5. გაუქმდეს წოდება. ე. ი. არ ისმარებოდეს სიტყვები: „თავადი“, „ისნაურა“, „გულები“, არამედ ეყვდეს ეწოდოს თავისუფალი მოქალაქე.
6. დაუბრუნდეს გლეხებს ის ადგილები, რომელიც მათ ჩამოაცდეს ბატონების გაუქმების დროს.
7. სასელმწიფო და საეკლესიო ტყეებში და სხნავე ადგილები გადაეცეს გლეხთა საზოგადოების თავისი სასარგებლოთ.
8. სასოფლო გზების კეთება დაეკადოს ვეუღას.

9. დაწესდეს ზირფენების და სხნხოველები ბინის ხელურ-ლებლობა, სენდისის, სიტკეის, ბუჭღვას, კრების, გოიცივის და კავშირის თავისუფლება.

10. გაცალკეედეს ეკლესია სახელმწიფოსაგან და სკოლა ეკლესიასაგან.

და 11. დამოუკნებელი კრების მოწვევა ხალხის მიერ საყოველთაო, ზირდაზირი და თანასწორი კენჭის ერთ. ამას შემდეგ საერთადაც ონი წითელი დროშა და შარსლეიქის სიმელოთ დემონსტრაციულათ გააარეს უმთავრესი ქქნა. სადამოს ექქს საათზე დემონსტრაცია გათავდა და ხალხიც დაიშალა.

დ. ყვირილა. ეველას იგნეს სხლანდელ ზოლოტაეურ-საზოგადოებრივი წეს-წუობალებს უფარგუსობას და ეველკან უერთდების სოციალ-დემოკრატულ მუშათა პარტიას. სადაც ვარიბება ხალხი ეველკან თავსუფლებასზე დაზარაკი. ეოველი საქმე ამხანაგურათ იწიქვა და ადმინისტრაციას მთელი ზემო იმერეთი ჩამოცილდა. სოფლები ეველკან დაზურეს, გოიციენ მასწავლებლები და მოსწავლენი მარტიდან. ქურდობა, ვაჭაჯობა, ლოთობა, კარტის თამაში და სხვა ცუდი ჩვეულება ძლიერ შეიძინდა. სოფლებში ეოველ კვირა-უქმე დღეებში ეკლესიის გადაჯანში ავარიბებან და არჩევენ მომხივან-მონაშხის საქმეებს ან შედატორეების სძაჯლებით და ან ამხანაგურათ. დამწვარი კანცელარების მაკარათ დაიქარავეს კერძო შენობები, მარა შიგ მამასახლისისა და მწურღის მერტს ვერავისა ნახავთ. ნახევარჯერ არც ისინი არიან. მეტათ ცუდი დრო დაუდგამათ. გულდაწყვეტილი იკონებენ იმ დროს, რცა დექქით დვინო, შემწვარი დედლები და ხაჭაპურები იმდენი მონდიოდათ, რამ ქვამს ვერ ასდიოდენ. ქრთაში და ბუჭღვას ფული ხომ სხვა ეყო. 17 ივლისს ქქურს ეკლესიაში ვარებულა საზოგადოების თანდასწრებით გადახდილ იქნა ზანაშვილი სმსა წულეუბის სულას მოსახსენებლათ. ზანაშვილის შემდეგ წარმოითქვა რუსულ-ქართულათ სიტყვებით, რომლითაც აქქურეს კაცნეს მისი მოღვაწობა მუშა ხალხის ვათვითნობობებისა და საზოგადოებრივი ცხოვრების კავშირბე-სობისათვის. შემდეგ დაარბეს ფურცლები და მსურველთ მთვიდეს მისი სურათები.

ხალი.

რ უ ს მ თ ი.

როგორც ხმა დადის, შინაგან მინისტრათ ეოფიდა თავ. სეა-ტლობა მირსკი, რომელიც ამ ჟამათ ზეტერორუგში იმოფება, სასელმწიფოს საბჭოს წევრათ აინაშნება (ნ. ე.).

„ს-ზეტერ. უწეებებს“ რუმინიდან ატეობინებენ, რამ 100 მატროსი, რომელნიც ჯაჭმან გემ პარტიდმინიდან: კონსტანტში გადასდენ, გადაცში გამგზავრებულან; 200 მატროსი, ქალაქ სოს-კუტში შქქრის ქარხანაში შესულან, 100 კაცა, ქალაქ ვაღში ცნობილმა კრწენურსკომ სამსახურში მიიღო, სოლო 80—იარში წავიდნენ, სადაც მათ ვოკზალზე ვარებულა ხალხი ელოდა. რუმინის ახლგაზღობამ და შრავლამ სტუდენტებს, იმავე დღეს, რესტორან „ბურტო-რეხში“, ეოფილ მატროსის საუცხოო ნადიმი გაუმართეს.

როგორც გასკო „ლე უერხალს“ გამოუჩინაშეობა, ჯარების შესახსავათ, ქალაქ ღოამს დღემო 3000 მან. ქსრება თურმე.

ამას წინეთ გაზ. „სლოვა“ ატეობინებდა თავის მკითხველებს, რომ 6 ივლისს, როცა სტატ-სეკრეტარი პოდელონოსცვი ცარსკო სელოდან ზეტერორუგში დაზურდა, ეიდან კაცმა იმის მოკვლა განიზარხათ. იმის შესახებ პრავიტულ ვერტნ.“ შემდეგ გადა-მოგვექმის: 6 ივლისს, დღის 12 საათზე ცარსკო სელოდან ზე-

რადგან აღარ იქნება ის ძალა, რომელიც ახშობს და ხუთავს მას. განახლებული რუსეთის მომავალი ცხოვრება თვალწინ უდგას გერმანიის პროლეტარიატს, ის წინ და წინ სიამოვნებას გრძნობს იმ სანატრელი დროის მოლოდინში, როდესაც რუსეთის მრავალ ტანჯულ პროლეტარიატი, კლასთა აშკარა ბრძოლით გათვითცნობიერებული, მხარს დაუშვებებს თავის გამოცდილ ძმას-გერმანიის პროლეტარიატს, ძალას შემატებს ჩაგრულთა ბანაკს და გაათავებებს მსოფლიო პროლეტარიატის მნიშვნელობას. ამიტომ სრულებით გასაკვირველი არაა, თუ გერმანიის მუშათა პარტიის ყველა ორგანიზაციაში შეგხვდებით შემოწირულების სია თავისუფლებისთვის მებრძოლ ამხანაგების სასარგებლოთ. ასეთი სია ყოველთვის თვალსაჩინო ალბანს არის ხოლმე მოთავსებული, ამ გარემოებამ მეტათ შეაწუხა და დაანადგურა გერმანიის ბურჟუაზიული მთავრობა და ფრიალ ძნელ საგონებელში ჩააგდო. ასე გასინჯეთ, მთავრობას თათბირიც კი ჰქონია იმის შესახებ, თუ რა ღონე იღონოს, რომ გერმანიის პროლეტარიატს მოუსპოს რუსეთის რევოლუციონერთა მიმართ ასეთი აშკარა სიმპათიის გამოცხადების საშუალება. იქ ხომ რუსეთის თვითნებური მთავრობა არ არის, რომ ერთი ყოვლათ უსაბუთო „პრიკაზით“ აუკრძალოს მუშა ხალხის ასეთი „თავხედობა“ და აი, გერმანიის „ბურჟუაზიის ინტერესთა დამცველ კომიტეტს“ ბჭობა გაუმართავს იმის შესახებ, თუ როგორ მოახერხოს, რომ ასეთ „სამარცხენა“ შემოწირულებათა შეკრება არსებული კანონონის რომელიმე მუხლის ძალით აკრძალოს, ჯერ მიუშარათვთ კანონდებულების იმ სტატიებისათვის, რომელთა მიხედვით სასჯელის ღირსათ ითვლება ყოველივე მოქმედება მებრძოლ სამეფოს წინააღმდეგ, თუ ამ მოქმედებას არსებულ წესწყობილების დამხობის განზრახვის ხასიათი აქვს. თუმცა მებრძოლ რუსეთის სასარგებლოთ, ფულის შეკრებას სწორეთ ანაირი ხასიათი აქვს, მარა მთავრობა მაინც ვერ ისარგებლებს ზემოხსენებულ კანონით, რადგან შემოწირულებანი გამოცხადებულია რუსეთში მებრძოლ ამხანაგთა ოჯახების დასახმარებლოთ, და არა თვით რევოლუციონერთა სასარგებლოთ. მაშ ეს კანონი არ გამოდგა. არის კიდევ ერთი ადგილი პრუსიის დებულებაში, რომელზეც, შექმლო შეჩერება მთავრობას, სახელდობ შექმდები: აკრძალულია „უზნეო და მავნე დანიშნულებისათვის“ შემოწირულებათა შეგროვება. მარა ვინ იქნება ისეთი მართლაც ყოვლათ უზნეო და მავნე ადამიანი, რომ გერმანიის მუშათა რუს მუშებისადმი დახმარებას—უზნეო და მავნე უწოდოს, მაშ არც ერთი კანონი გამოდგა და გერმანიის მთავრობა ძალაუვნებურათ უნდა შეუროგდეს პროლეტარიატის «თავებდურა», მარა «კანონიერა» მოქმედებას...

მუშების მიტინგი. „მოგზაურის“ წინა ნომერში მკითხველი დანიხავდა, როგორი შთაბეჭდილება მოახდინა გერმანიის კანცლერ თავ. ბიულოვის განკარგულებამ, რომლის წყალობით ბერლინში დანიშნულ სოც.-დემოკრატთა კრებას ფრანგი სოციალისტი ჟორჟს ვერ დაესწრო. სწორეთ იმ დღეს, როცა ბერლინში ჟორჟის პატივსაცემთ მანიფესტაცია გამოატეს, ბოლშევის ტბის მხლობლოთ, ქალაქ კონსტანცში შეიკრება ფთი ათასზე მეტი მუშა მსოფლიო მშვიდობისა და ერთა შორის თანახმობის შესახებ მოსალაპარაკებლოთ. ამ კრებას მუშათა პარტიის რამოდენიმე გამოჩენილი წარმომადგენელიც დაესწრო: სხვათა შორის იქ იყვენ ბებელი, აესტეელი ვიქტორ ადლერი, შვეიცარიელი გრეილიხი და იტალიელი მუშათა წარმომადგენლები. მაგრამ საქმე სხვაანაირათ დატრიალდა. კრების გახსნის ხანს ადგილობრივი პოლიციის უფროსმა გამოაცხადა, რომ კრებაზე ლაპარაკი მხო-

ლოთ იმ პირობით შეიძლება, თუ რომ ორატორები „მეგობარ მთავრობათა“ მოქმედებას არ შეეხებიანო. ამისათვის მხოლოთ ბებელმა ილაპარაკა. „გერმანიის მთავრობის მოქმედებაო სთქვა ორატორმა—იმდენათვე ტლანქი და უზრდელუთრია, რამდენათაც ბრიყველი. ბისმარკი არ იყო ჩვენი მეგობარი, მარა რომ შექმლოს იმის გაგება, თუ როგორ შეარტხვინა მთავრობამ გერმანელები მთელი ქვეყნის თვალში, მიცვალბული კლბოში გადაბრუნდებოდა. ისეთ სისულელდეს, როგორიცაა ჟორჟის ბერლინში ჩამოსვლის აკრძალვა, იმ ჟორჟის, რომელსაც მთელი ქვეყნის დიპლომატებზე მეტი დეწლი მიუძღვის ორ კულტურულ სახელმწიფოთა დაახლოვების საქმეში—ბისმარკი არასოდეს არ ჩაიდნდა! ბიულოვი ქება-დიდებას უძღვნის პოლიტიკურ მოღვაწეს და ამისთანავე კარებს უკუტს მას ცხვირ წინ და არწმუნებს ქვეყანას, რომ ფრანგ სოციალისტ ჟორჟსა და გერმანიის სოციალისტთა შორის—დიდი განსხვავებააო. კანცლერი მოიგონებს ჩვენს შეტაკებას ამსტერდამში მომხდარ საერთაშორისო კონგრესის დებატების დროს, მაგრამ რა გაგებებთ თქვენ ამის, თვადო ბიულოვ. განა თქვენ მიხვდებით, რა უნდაკრობა და თავგანწირულება გამოიჩინა ჟორჟსმა, როდესაც ამსტერდამის კონგრესის დადგენილება სავალდებულოთ მიიჩნია და მთელი თავისი ვაგლენა მოიხმარა, რომ ამ დადგენილების მიხედვით საფრანგეთის პროლეტარიატის დაცვალკეება აეცილებია? ამის გულისთვის ყველა ქვეყნის მუშები ღრმა პატივისცემით და მადლობის გრძნობით უნდა იხსენიებდენ ჟორჟის სახელს. ის, რის გამოთქმაც ჩვენ აქ გვიწოდდა, და რაც ჟორჟს ბერლინში უნდა ეთქვა, მხოლოთ შემდეგი ფაქტის აღსარებაში მდგომარეობას: ხალხთ აღარ სურთ ცხვრებოვით დარჩენ საერთაშორისო პოლიტიკაში, მათ აღარ უნდათ თავის და სხვისი სისხლი ღვარონ რადაც პრესტიჟის, ცრუ ნაციონალურ ინტერესების, მყვირალა ფრანგების და თავქარიან მოქმედებათა გულისათვის: ასეთი ომები—ბორჯტ მოქმედება კალობრიობის წინაშე და რუსეთის ახლანდელი მდგომარეობაც კარგათ ამტკიცებს, თუ სანაჰი შეუძლია მივიდეს ხალხი და მთავრობა ასეთი ომის წყალობით. რუსეთის აწმყო გაცვეთილია ყველასათვის“!

როცა ბებელმა თავის სიტყვა დაასრულა მთელი კრება გაემართა შვეიცარიის საზღვრისაკენ, რომელიც კონსტანციდან ათი წუთის სავალზე არის დაშორებული. მუშები მივიდენ ქალაქ კრეცილინგენში, სადაც თავისუფლოთ შექმლოთ სჯა-ბასი. კრება მშვიდობიანათ გათავდა. კრების გათავების შემდეგ აუშვეს წითელი დროშები და გაისმა მუშური პარსელიების სიმღერა. ქალები და ბავშვები თავისუფლოთ მიდიოდენ დემონსტრაციულ პროცესიაში და თანაგრძნობით და სიყვარულით უტკეპოდენ ძვირფას სტუმარებს.

ფელექსონის მადეიერი.

ნაშუამდები ეშხაკის დღიურიდან.

კვირა 17 ივლისი. ესთქვათ ეშხაკი ვარ, მაგრამ მეც ხომ ქართველი ანუ ქართული ეშხაკი ვარ! მაშ რატომ არის, რომ ასე ვეჯავრები ყველას და ესეთი ბოროტი გულისა ვგონივარ!... კვირა დღე ჩემთვისაც სადღესასწაულო დღეა. მიყვარს საზოგადოთ კვირის ფულეტონები და კრძოთ „ცნობის ფურცლისა“; არ იფიქროთ აპატარა ამბები; რო აწერიო, ვითომ მართლა პატარა იყოს! ის ყოველთვის ტრაგიკულით იწყება ხოლმე და მასთან ისეთი საამურიო, რომ შიგ ნერვებში გიხი-

ცინებს და გრძობებს გიშლის. აი თუნდა დღესაც ასე იწყებს მკითხველთან ბაასს ჩემი ნაცნობი ფელეტონისტი: „როდისა? როდისა?“ ო, და მართლაც რამდენი აზრია ამ ორ სიტყვაშია როდისა? როდისა?!...

ქართული ენა, ხომ მოგვეს, ახლა სიმძლირე გვინდა ხალხისათვის, სიმძლირე! „ქართველ კაცს ნატვრა შიაც შნო აკლიაო“, იტყვიან, მაგრამ ტყუილია. მაშ „როდისა? როდისა?“.

პარასკევი 15 ივლისი. გუშინაც ვთქვი და ახლაც ვამბობ: ქვეყანა გაეშაყდა! ასე ადვილათ ვედარავის ვერ მოატყუებ. ძველათ ჩვენმა სატანამ თვით მაცხოვარის გამოცდა და მოტყუილება მოიწადინა; უთხრა: „აი ამ კლდიდან გადახტი და რასაც ხედავ გაჩუქებო.“ ახლა უბრალო გლეხსაც ვედარ შოატყუილებს ასეთი ხერხით. განა რა არის ღარიბისათვის სიმძლირეზე უკეთესი?! მე ყური მოვკარ როგორ ელოპარაკებოდა ვანიჩკა ფედერალიძე ერთ სოფელელ გლეხს:—«ძმობა, ერთობა და თავისუფლება!»—მწამს. მიუგო გლეხმა.—«შენ გაიტყუილებენ საბრალოვ!» განავრძო მან. „ღამივღე ყური: ჩვენ გვინდა შენი ბედნიერება, შენი კეთილი, შენი ცხოვრების აყვავება! მაგრამ იცოდენ ჩვენ გვინდა ყოველივე ეს გამოიდრებოთ. ჩვენი სურვილია ყოველი თქვენგანი კაპიტლისტი გახდეს.

აბა წარმოიდგინე მცირე ხნით ასეთი სურათი: შენა ხარ პატრონი ათიოდე ქარხანა-ფაბრიკისა, რომლებშიაც სხვა და სხვა გვარ ძვირფას საქონლებს აშაბდებენ. გარდა ამისა შენს განკარგულებაში არის ასი დღიური საუკეთესო სახნავი მიწა; ორმოც და ათი დღიური კარგი ტყე და ამდენივე მშვენიერი საბაღაბო ადგილი. ამასთანავე გაქვს მშვენიერი სასახლე, და ფრიად განიერი ეზო, რომელსაც მაღალი რკინის ღობე არტყია და ისეთი ძაღლები გყავს, რომლებიც აღამიანს წაშში ნაკუწ-ნაკუწ დაგლეჯენ. ეზოს მახლობლათ გაქვს კარგა დიდი ზვარი და მოზრდილივე ხეხილის ბაღი, რომლის ნაყოფებითაც მშვენიერ მურაბა-კონსერვებს აკეთებ, მით უმეტეს, რომ ერთ ერთ შენს ქარხანაში შაქარს აკეთებენ და ეს უკანასკნელიც უხვად გაქვს. სასახლეს ელექტრონი ანათებს, ოთახები საუცხოვოთ მოწყობილია. იქვე ცალკე ოთახებში გიდგას თ'ილი გინდ ცივი ვანები, რომ კნეიპის საშვალეებით შენი ჯანმრთელობა უზრუნველ ჰყო და ნერვები გაიმაგრო. სახლის მახლობლათ კლდეში გამოქრილი გაქვს მშვენიერი სარდაფი სხვა და სხვა ღვინოებით სასმე. ადგილ-მამულს მაშინებით ამუშავებ და შინაურ ცხოველებიდან მხოლოთ ძროხები და სხვა მეწველი საქონლები გყავს.

ტყეში, რომლის შესავალ კარებზედაც აწერია: „აქ უცხო პირთ ნადირობა სასტიკათ ეკრძალებათო“, მრავალი ირმები და ჯიხვ-შველები გყავს. ოთხი დიდი აუზი სხვა და სხვა თევზებითა გაქვს სასმე. შინაური ფრინველებისათვის ცალკე ეზო გაქვს და რამდენიც გინდა იმდენი გყავს; ეზოც ყველი და კარაქი თავზე საყარათ ავივა. სამგზავროთ ავტომობილები, პირველი კლასის ვაგონები და საფრენათ ახალ მოდის ჰაეროსტატები გაქვს. ფული რამდენიც გინდა იმდენი გაქვს. ვადა-სახანს არავის აძლევ, შენს შვილს პირდაპირ უნივერსიტეტში იღებენ სტუდენტათ და ამასთანავე ქართულათ ასწავლიან გოგებაშვილის სახელმძღვანელოებით. ერთი სიტყვით ვინ მოსთვლის რა არ შეიძლება კიდევ ითქვას, ყველაფერი ვის გაახსენდება? აი ჩვენ რას ვპარდებთ ხალხს და სირცხვილი არ არის ჩვენ ხალხის მტრებს ვვიძახოდენ და ასე უნდათ გვექცეოდენ?!

უკვე ჩამთვლილს დაუმატე ისიც რომ შენს ოჯახს სა-

კუთარი საკანონმდებლო უფლება ექნება და მაშინ თვალსაჩინო იქნება ის განსხვავება, რომელიც ჩვენსა და ჩვენს მოწინააღმდეგეთა შორის სუფევს.

გლებ-კაცმა თვალები ამოიფშენიტა; სიზმარში იყო ეგნა.

— ახლა გაიხსენე ისიც თუ რა სურთ იმათ; იმათ თქვენი ვალატაყება, ტყავის-გაძრობა თქვენი დაბეჩავება უნდათ. ისინი ქონებას თქვენ გართმევენ და კერძო კაცების ხელში აგროვებენ, რომ თქვენ გაპროლეტარდეთ, ბოგანო შეიქნეთ. ახლა მითხარი რომელი აჯობებს; ჩვენი თუ მათი სურვილი? აირჩიე რაღა?!

განა იფიქრებდა ვინმე, რომ გლეხი ასეთ განსაცდელს გაუძლებსო? რა მომზიბვლელი სურათია იყო!! მარა ახლა ვედარც ასეთი ოინბაზობა სკრის. ქვეყანა გაეშაყდა.. ცარიელ ქარაფშუტა სიტყვას ახლა წლობას აღარავინ უტყბადებს.

ხუთშაბათი 14 ივლისი. დღეს რაღაც მზიარულ გუნებაზედა ვარ. მინდა დღიურში პოეზია შევიტანო. საგანიც სწორეთ საპოეზოა.

„ხუთშაბათ დილა გათენდა რა კარგი დარი დგებოა; სამი ძმა ფედერალიძე სამგზავროთ ემზადებოა. შემოქმედისკენ გასწიეს, იქ ხალხი იკრიბებოა. მიმართეს თავმჯდომარესა; მოგვეცით სიტყვის ნებაო. ნუ დაავაბრკალებთ გენაცვა ფოთისკენ გვეჩქარებოა, იქიდან ზესტაფონს მივალთ შორი გზა გაკვევლებოა, ქოათურელმა ვაჭრებმა იწამეს ჩვენი მცნებოა.

მათ თავმჯდომარემ მიუგო; ბრძანეთ მოგისმენს კრებოა, ილაპარაკეს ბიჭებმა რაც პირზე მოადგებოა; ბევრი ქორები დახარჯეს, ბევრიც უმართლო ქებოა; აუხსნეს ხალხს თავისი წყალ-წადლებული მცნებოა. ბოლოს მიიღეს პასუხი, როგორც ვადრებოა; აიკრეს გულა ნაბადი ინებეს წაპრძანებოა.

გავრძელება 14 ივლისი. ქვეყანა აირია. ვგონებ გამართლდეს ბოლშევიკი ბერ-მონაზვნების წინასწარმეტყველება „წარღვრის“ შესახებ. „ოდეს დაიწყოს ქვეყნათ სვრანი და ძვრანი წარღვნას ელოდეთო“. ვინ გაიგონა ქართველი მუშის გათიცივ? არსათ ძველ ხელნაწერში ამგვარი არაფერი არ სწერია. ახლა ისწავლა და აღარ ინდობს არც მტერსა და არც „მოკვარეს“. არ დაინდეს მათ არც „სიმატიური“ დაწვესებულება კახელ მევენახეთა; მაგრამ არც თუ საზოგადოების გამგეობა დახვდა გულ-ხელ დაკრფილი; „მყის ჩაიკეცეს ქულები თურმე, ხმალს ხელი იკრეს მამა-პაპურათ და გაჯიუტდენ თავისებურათ“. გაიღდა კვირა ორი თუ სამი, მიიღდეს დახლთან თავთავის სკამი და გაჭკრეს ჩოთქსა სალოკი თითი—ნახეს; კოდება თურმე „კახეთი“. მაინც არ შედრკა რაინდთა გული და გამგეობა კვლავ ბრაზ-მოსული, მოიწვევს კრებას ვაჭრებისას. მაგრამ გამოჩნდა აქ ხათაბალა; პირველი კრება მათ ჩაეშალა. გამოითხოვეს მეორე კრება, გუბერნატორმაც მათ დართო ნება; მოვიდა შვიდი ვილაც ვაჭარი, მაგრამ იხილეს, რომ ირგვლივ ჯარი მცველათ უღგო მას „სამრწველოს“.

მაშ გაუმარჯოს ჩვენს საქართველოს ხალხი მიაწყდა, იგერებს ჯარი. ამ დროს გაილა საეპროს კარი და გამოვიდნენ მუნით ვაჭრები; კრება არ შესდვა და დაიშალა; ორჯერ გაცრუვდა ბურჯების ძალა.

კახელ მევენახეთა საზოგადოების თავდადებული ბრძოლა მართლაც რომ საისტორიო მასალათ ივარგებს. უთუოთ გამოჩნდება ვინმე ისტორიკოსი და მოიხსენიებეს: „თავდადებული გამგეობის „ბოიკოტთან“ ბრძოლას.

ამასთანავე ღრმით დარწმუნებული ვარ კახელ მემამულე-

თა საზოგადო კრება ჯამაგირებს მოუმატებს ამ ახალი „პორტ-არტურის“ დამცველ რაზმს და სამხედრო ბიჯეტსაც გააძლიერებს „ბიოკოტის“ დასამარცხებლათ.

უმეაკი.

ნაციონალური დღესასწაულები ბელგიაში.

ბელგია დღესასწაულობს. სატახტო ქალაქ ბრიუსელიდან დაწყებული უბრალო სოფლებამდე მთელი ქვეყანა საღმრთო-სწაულო ბაირალებით და ყვავილების თავიფლებითაა შემკული; ყველგან ილიუშინაციები, კორტეჟები და მანძალები მოსწინაა; ბელგიის კახტა ღამაში ქალაქები საღმრთო მოკახმული თვალ წარმტაც სურათს წარმოანგენენ. რას დღესასწაულობს ბელგია ან უკეთ რომ ვსთქვათ ოფიციალური ბელგია? თავისი 75 წლის დამოუკიდებლობას; 75 წელია რაც მან თავისი ახალი მდიდარი დიდი ისტორია შექნა. 1840 წლამდის სულ უმნიშვნელო ქვეყანა დღეს ევროპის „სოციალურ ლაბარატორია“ გარდაიქცა. მისი ინდუსტრია, კომერცია, ტექნიკა დღით დღე იზრდება, ვითარდება და მთელ ხმელეთს და ოკეანებს წვდება. შედარებით ერთი მუქა, 7 მილიონი ხალხი, რომელიც თითქმის მიკროსკოპიულ ტერიტორიაზე მოთავსებულია, ინგლისს, საფრანგეთს, გერმანიას და ამერიკას გვერდში უდგას და საერთაშორისო ბაზარს თამამათ ედავება; არც მეცნიერებაში ჩამორჩა სხვას ბელგია. ბევრს გადააქარბა კიდევ მეცნიერების ყოველ დარგში ბელგიას საუკეთესო წარმომადგენლები ყავს, რომელთაც მთელი კაცობრიობა თავყენსა სცემს. აი, რას დღესასწაულობს დღეს ოფიციალური ბელგია. ვიმეორებ ოფიციალური თქო, რადგანაც ბელგიის პროლეტარიატი მონაწილეობას არ ღებულობს ამ საერთო დღესასწაულში. შეიძლება ზოგიერთმა მკითხველმა გაკვირვებით იკითხოს: მაშ პროლეტარიატი წინააღმდეგა დამოუკიდებლობის, თავისუფლების და ქვეყნის განვითარებას? არა, მკითხველო, ყველაზე უფრო მეშა ხალხია დანტერესებული ყველა ამაში; ყველაზე უფრო გულწრფელათ თავგანწირულათ მეშა ხალხი ემსახურება მათ განხორციელებას; მაგრამ როცა მეშა ხალხის მკლავით მოპოვებულ თავისუფლებით და სიმდიდრით სხვა სარგებლობს, როცა პროლეტარიატს თავისი გამარჯვების ნაყოფს ხელიდან აცლიან და სხვა ენატრონება, პროლეტარიატს საღმრთო-სწაულო არაფერი აქვს. ამას ქვევით დავინახავთ.

გადავავლოთ თვლი ბელგიის ისტორიას. ბელგიის დამოუკიდებლობა 1830 წლიდან იწყება. მანამდე საუკუნოების განმავლობაში ბელგიის ბედ-იღბალს სხვა სახელმწიფოები განაგებდნენ: ისპანია, ავსტრია და ბოლოს საფრანგეთი. 1815 წელს კი, როცა ევროპის კოალიციამ ნაპოლეონ დიდის ძლიერება შემუსრა და მედიდური კორსიკელი ავანტიურისტი წმ. ელენეს კუნძულზე გადახვეწა, ბელგიის ბედიც ვითომ სამუდამოთ წყდებოდა. ამ წელს ბერლინის კონგრესზე ბელგია ჰოლანდიას შეუერთეს. მაშინ ჰოლანდიას გულ-კეთილი, მაგრამ სუსტი ხასიათის მეფე ვილჰელმ I განაგებდა. მაშინდელი ჰოლანდიის ლიბერალური მთავრობა მაინც და მაინც აუტანელ ტვირთათ არ აწვა ბელგიელებს; ამ ხანაში ბელგიის ინდუსტრია აყვავდა, სწავლა-განათლებაც განვითარდა; პირველ დაწყებითი და საშუალო სკოლები ქვეყანას საქმათ მოედო; მასთან მთავრობამ ბელგიაში სამი უნივერსიტეტიც გახსნა: ლუვენში, ლიეჟში და გენტში და რამდენიმე ტექნიკური სასწავლებელიც. ერთი სიტყვით ბელგიის ცხოვრება ნორმალურ კალაპატში მიმდინარეობდა; მაგრამ მიუხედავათ ამისა, მთავრობის უკმაყოფილონიც ბევრი ჩნდებოდა, მათი

რიცხვი თან და თან იზრდებოდა. ვინ იყვენ ეს უკმაყოფილონი? ვინც თავისი საკუთარი ინსტინქტის 'დასაკმაყოფილებლათ არასფერს არ ტრედებოდნენ; თავის საკუთარ ინტერესს საზოგადო ინტერესებზე მაღლა აყენებდნენ. მთავრობის მოწინააღმდეგეთა რაზმს სამი ჯგუფი შეადგენდა: სამღვდლოება, ლიბერალები და ანტიკონსტიტუციონერები. ან როგორც სხვაფრივ უწოდებდნენ, ფრანკოფილები; უკანასკნელები უმეტესათ პირველი ორი ჯგუფისგან შედგებოდნენ. რას თხოულობდნენ ეს ჯგუფები მთავრობისაგან? პირველი ე. ი. სამღვდლოება წინააღმდეგი იყო ჰოლანდიის მთავრობის მეტის მეტი ლიბერალური პროგრამის ერთი მუხლისა, სადაც აღარებული იყო სარწმუნოების სრული თავისუფლება; მეორენი სამართლიანათ თხოულობდნენ პრესის სრულს თავისუფლებას, მაგრამ არ მოსწონდათ ადმინისტრაციულ და იურიდიულ დაწესებულებებში ენების გათანაწილება, (ფრანკოფილებთან ერთათ ფრანგული ენის გაბატონება უნდოდათ) ამასთან ადმინისტრაციაში წარჩინებული ალაგები მათთვის სანატრელი იყო, ჰოლანდიის ფრანკოფონიაში მათ ხელ-ფეხს უკრავდა. ანტიკონსტიტუციონერები ამ ფრანკოფილებს უნდოდათ ბელგიის საფრანგეთთან შეერთება. ამ ნიართ ყველანი საწინააღმდეგოთ უმნიშვნელო მიზეზებს ჩხრეკდნენ, გარკვეული, განიერი მიზანი კი არც ერთს არ ქონდა. ქვეყნის თავისუფლება, ბელგიის დამოუკიდებლობა არც ერთს არ ახსოვდა. 1823 წლიდან ჰოლანდიის მთავრობამ ბელგიაში ნიდერლანდური ენა ოფიციალურ ენათ აღიარა; ამნაირათ პატარა ბელგიაში სამი ოფიციალური ენა იყო: ფრანგული, ჰოლანდური და ფლამანური. ეს საკმარისი იყო მოწინააღმდეგეთა ჯგუფების შესაერთებლათ; ლიბერალებს და ფრანკოფილებს სამღვდლოებაშიც მხარი დაუჭირა და მთავრობას პროტესტი პროტესტზე გამოუცხადეს. სუსტი ვილჰელმი თითქმის დაითანხმეს, სამღვდლოება და ლიბერალები დროებით დაშოშმანდა, მაგრამ ფრანკოფილები მედგრათ განაგრძობდნენ წინააღმდეგობას. აი რას წერდნენ ამ დროს ისინი ერთ ერთ თავის ჟურნალში: „ერთი წამია საქირო, რომ მეფეს კისერზე თავი მოეპოვოთ, მეორე წამს კი გილოტინის ფიცარს მივაკრავთო“, მაგრამ ამგვარი პროვოკაცია ხალხზე არაფერს შთაბეჭდილებას არ ახდენდა. 1830 წელიც მოახლოვდა. ამ წლის ივლისში საფრანგეთში რევოლიუცია მოხდა, კარლ X ტახტიდან ჩამოაგდეს. ბელგიის მეც ამბოხებებს იმედი მიეცათ; რევოლიუციის სურათი თვალ-წინ დაეხატათ, საფრანგეთის რევოლიუციით წაქეზებულები ჰოლანდიის მთავრობასთან საბრძოლველათ მოემზადნენ. ამავე წლის 24 აგვისტოს ვილჰელმის დაბადების დღე უნდა ეღმრთებინათ; ბრიუსელის პარკებს სალიუშინაციოთ ამზადებენ, ქუჩებზე კი მემამოხეები პროკლამაციებს არიგებდნენ შემდეგი წარწერით: „24-ს ილიუშინაცია, 25-ს რევოლიუცია“-ო, ხალხი აღელდა; მემამოხეები კრებებს მართავდნენ და ვილჰელმს პეტეციებს უგზავნიდნენ, სადაც ითხოვდნენ ძველი საინსტროს გადაყენებას და ახალი საინსტროს ხალხის წინაშე პასუხის მგებლობას; მაგრამ საინსტროს წესდების შეცვლა კონსტიტუციის ძალით ვილჰელმს შეუძლებლათ მიანდა და არა ერთხელ უნეორებდა პეტეციონისტებს: „მართალია სისხლის დგრა საზიზღრობაა, მაგრამ ევროპის წინაშე სირცხვილი იქნება, რომ თქვენი თავბელი მოთხოვნილებები დააკმაყოფილო“. ამ პასუხის შემდეგ 600 ჯარის კაცი ბრიუსელის კარებს მიავენა. რა ქნეს ამ დროს ბელგიის მემამოხეთა მეთაურებმა? თავ-ზარ დაკმულნი აქეთ-იქით მიიშლენ: ზოგი საფრანგეთს შეეხიზნა, ზოგიც არდენია ტყეებში დაიშალა. ვის უნდა გაეცა პასუხი ჰოლანდიის ძლიერი ჯარისათვის, რომელიც ბრიუსელს გარს ერტყა, თუ არა ისევ

ბრიუსელის მუშა ხალხს და ეს ასეც მოხდა. შემოღებულმა მანქანამ ბევრი მუშა ქუჩაზე უღუკმაპუროთ გამოყარა; ამ ელემენტებისაგან შემდგარი მებრძოლი რაზმი ვილგელმის ჯარისათვის სახუმრო არ იყო. ბრიუსელის მუშებს ბოლოს ფლანდრიის გლეხებიც მიემატენ. სამი დღის განმავლობაში (23 სექტემბრიდან) ბრიუსელის ქუჩებზე მუშა ხალხმა მიუღწეული ბარიკადები ააშენა. სამი დღის განმავლობაში სისხლის ღვრა არ შეწყვეტილა. ბოლოს ვილგელმის ჯარი უკუქცეული იქნა და იძულებული იყო ბრიუსელი მიეტოვებინა და ისევ გოლანდიის გზას გადგომოდა. მართალია გოლანდიის მთავრობა ამით არ დამცხრალა; არა ერთხელ გაიმეორა კიდევ ამნაირი ექსპედიციები; არა ერთხელ მტერათ აქცია ბელგიის საუკეთესო ქალაქები და სოფლები, მაგრამ ბელგიის დამოუკიდებლობის სიძირკველი უკვე ჩაყრალი იყო. როდესაც მუშა ხალხმა ბრიუსელის და სხვა ქალაქების ქუჩები თავისი სისხლით მორწყა, ამ დროს არც დიპლომატიას ეძინა; მან ბოლო მოუღო ვილგელმის თავგასულობას და ნება არ მისცა ბელგიის ჯარის შემწეობით დაპყრობის. საფრანგეთი და ინგლისი, აი ორი სახელმწიფო, რომლებიც უფრო დინტერესებულნი იყვნენ ბელგიის კითხვაში. საფრანგეთს უნდოდა ბელგიის შემოერთება, მაგრამ ინგლისის საწინააღმდეგოთ ვერას ვაბედავდა; ბოლოს ბელგია დამოუკიდებელ, ნეიტრალურ სახელმწიფოთ იქნა აღიარებული, მაგრამ მეფის არჩევაც სადავოთ გახდა. ბელგიის წარჩინებულებს საფრანგეთის მეფის ღვი ფილიპეს შვილი უნდოდათ თავის მეფეთ, მაგრამ ინგლისი ამის წინააღმდეგი გახდა; მას კანდიდატთ კობურგელი პრინცი ლეოპოლდი ყავდა, რომელიც ბოლოს აირჩიეს კიდევ ბელგიის პირველ მეფეთ. აი მოკლეთ ბელგიის დამოუკიდებელ სახელმწიფოთ გამოცხადების ისტორია. ადვილი მისახვედრია, რომ გოლანდიის მთავრობის მოწინააღმდეგეთა ჯგუფების მოთხოვნებებზე უბრალთ ყინი იყო, რადგანაც დამოუკიდებელ ბელგიაში, (რომლის დამოუკიდებლობა მათ სიზმრათაც არ ელანდებოდათ), კონსტიტუციის ძალით აღიარებული იყო სარწმუნოების სრული თავისუფლება და ორი ენა: ფრანგული და ფლამანური ოფიციალურ ენებათ. ეს კონსტიტუცია მათივე შედგენილი იყო. ამნაირათ ერთი მხრით მუშა ხალხის მოუხმადებლობით და მეორე მხრით დიპლომატიის შეცდომით ბელგიის ბურჟუაზიამ „ედემი“ ხელში ჩივდო და განცხრომას მიეცა. (უშუა ხალხის „ინიციატივით“, ენერჯით და შრომის მოყვარეობით შექმნილი აუთორიტული სიძლიერე მან დაისაკუთრა. რა მისცა სამაგიეროთ ამისა მუშა ხალხს ბელგიის ბურჟუაზიამ? დიდი სამუშაო დღე და უმცირესი სამუშაო ქირა, თუმცა მრეწველობაში და ადგილობრივ ცხოვრებაში ბელგიას პირველი ადგილი უქირავს სხვა დიდ სახელმწიფოებს შორის, სოციალურ კითხვებში ის ჯერ კიდევ უკანასკნელია. აი ამ მრეწველობის სამეფოში მუშა ხალხი დღესაც მოკლებულია სიყოველთაო თანასწორ არჩევნების უფლებებს და სავალდებულო პირველ დაწყებით სწავლა-განათლებას; არც ერთი და არც მეორე ბურჟუაზიას არ ესაქიროება; ეს მას საუკეთესო საშვალგებთ გაუხდია პროლეტარიატის ექსპლუატაციისათვის. აი, რას დღესასწაულობს დღეს გამარჯვებული ბელგიის ბურჟუაზია, აი რისთვის არ დღესასწაულობს დამარცხებული ბელგიის პროლეტარიატი. „ბელგია კაპიტალისტების ედემიამ“ თქვა თავის დროზე მარქსმა. თანამედროვე ბელგია კი კაპიტალიზმ-კლერიკალიზმის ედემია. კაპიტალიზმ-კლერიკალიზმი ერთიმეორეს დამატება; ეს ორთავეიანი გველემანია, რომელიც ბელგიის პროლეტარიატს ლოდივით დაწოლია. როდესაც ამ გველემანს ორი-

ვე თავი მოწყდება, პროლეტარიატის დღესასწაულებიც მაშინ დაიწყება. მაშ ჩვენც ეს ვუსტროვთ მას.

ი. ა.

ასე, ჩემო მანასიო, ხან ისე და ხან ასეო!

რუსეთის საზოგადოებრივი მოძრაობა ზღაპრულ მდევსავით დღითი დღე იზრდება. საზოგადოების ყველა მიძინებულ ნაწილებს მუჯღუფუნს ჰკრავს ეს მოძრაობა და გამოყავს იმ პოლიტიკურ ინდიფერენტის მდგომარეობიდან, რომელსაც დღემდის შეუპყრია იგინი. სუყველა—კაპიტალისტი თუ მემულე, მუშა თუ სოფლის ბოვანო, ხელოსანი თუ მესასკუთრე-გლეხი —სუყველა ესენი ცდილობენ წესი აუგონ იმ ბიუროკრატიულ რეჟიმს, რომელმაც ეკონომიურ გაკორტეზამდე მიიყვანა ჩვენი ქვეყანა, ხოლო მცხოვრებლები გონებრივ სილატაკის ბნელეთში ჩაადგო; აი, ეს არის ყველა კლასთა, საზოგადოებრივ ჯგუფთა და მათი ლტოლილებების გამოშხატველ პარტიათა უახლოესი მიზანი. მაგრამ აქ ერთი საკითხი იბადება: ყველა ეს კლასები ერთნაირათ არიან დინტერესებული ამ პოლიტიკურ ბრძოლაში, თუ არა? ყველა ამათთვის საბოლოო მიზანს შეადგენს პოლიტიკური თავისუფლება, თუ არა? რასაკვირველია, არა. ჩვენ ვიცით, რომ პროლეტარიატისთვის პოლიტიკური თავისუფლება მხოლოთ საშვალგებას წარმოადგენს, ისეთ საშვალგებას, რომელიც მას კლასობრივ შეგნებას უვითარებს და კლასობრივ ბრძოლას უადვილებს; ხოლო ასეთი შეგნებით და ბრძოლით “ იგი უფრო ადრე დაამყარებს სოციალიზმს. — ეს ხომ ქვეყნის გაზეპირებული ქეშმარიტებაა, ეს ხომ ყველა გინანაზიელებმაც იციან ახლოა, გვისაცვედურებენ ჩვენ. მაგრამ, სამართლიანი შენიშვნაა, მარა მოვავაგონებ მკითხველს ვიოტეს ბრძულს სიტყვებს: „წამ და უწუთ უნდა იმეორებდე ქეშმარიტებას, რადგან შენს გარეშე მოუდამ შემცდარი აზრები გაიმისო.“ დიას, უნდა ყოველ-წამს იმეორებდე ქეშმარიტებას, მით უმეტეს, რომ ახლა და ახლა ეს „შემცდარი აზრები“ „მარქსისტებსაც“ ძალიან ეჩვია, „მარქსისტებს“, რომელიც პროლეტარიატის კლასობრივი ინტერესების დაცველებათ სახვევენ თავიანთ თავს

რაშია საქმე?

ზევით ჩვენ აღვნიშნეთ, რომ პროლეტარიატი სხვა კლასებთან და საზოგადოებრივ ჯგუფებთან ერთათ მონაწილეობას იღებს პოლიტიკურ ბრძოლაში. ამ ბრძოლაში უმთავრესი, ცენტრალური ადგილი პროლეტარიატს უქირავს, ხოლო ყველა ბურჟუაზიული კლასები თვალგებში შესტკერიან მას და მის გარეშე მომწკრივდებიან, რადგან ხელავენ მუშა ხალხის პოლიტიკურ ძალას. ამ გვართ, პროლეტარიატი გამოდის ძლიერი დემოკრატიული პარტიის სახათ და, როგორც ამნაირი, ადვილი შესადგებელია ფარგალს გადასცდეს, ბურჟუა-დემოკრატთა კლასების მიზნის გამახორციელებელ იარაღათ გახატეს, გაითქვიფოს ამ კლასებში და თავის კლასობრივი სახე სრულიად დაკარგოს. სწორეთ ამ ცეცხლივით გაღვივებულ დემოკრატიულ მოძრაობაში იმაღლება საფრთხე; სწორეთ ამ დემოკრატიულ ბრძოლაში მეთაურობას უნდა გაუფრთხილდეს პროლეტარიატი, როგორც კლასობრივ ნიადაგზე დამყარებული პარტია. მუშათა კლასს და მის იდეოლოგიებს (მარქსისტებს) ფრიალ ძნელი საქმის შესრულება ხვდათ წილათ: მათ აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ ბრძოლაში ისე, რომ არ გაითქვიფონ შიგ; მათ მუდამ მადლა უნდა ექიროთ კლასობრივი ბრძოლის დროში და არ უნდა შევასტონ პროლეტარული თვით-შემეცნება; პოლი-

ტიკურ ბრძოლასთან ერთად მათ არ უნდა დაივიწყონ ეკონომიური ბრძოლა—თავის აგრესიულ მსვლელობაში მუდამ უნდა ახსოვდეთ კლასობრივი ბრძოლა და ამით უნდა სამუდამოდ გამოიმიჯნონ თავის თავი ყველა ბურჟუაზიულ და წერილ-ბურჟუაზიულ პარტიათაგან. ამიტომ არ არის საკმაოდ მარტო სიტყვით მოგკონდეს თავი პროლეტართა ინტერესების დამცველად, არ კმარა მუშათა კლასის პროგრამა შეისწავლო მხოლოდ და თავის თავი მარქსისტად აღიარო, საქმე ის არის—თვით საქმეზე მოიხმარო შენი მარქსისტული პრინციპები და რიგიანად გაიყვანო ისინი ცხოვრებაში. შეუმცდარი პარტიული პროგრამა, —აი რას შეუძლია მარქსისტის შეურყეველობის გამოკლა.

და აი როდესაც ზოგიერთები, რომელნიც თავის თავს მუშათა ინტერესების დამცველად თვლიან, „ცხოვრებამ სამოქმედოდ გამოიწვია — მათ რყევა დაიწყეს და ყოველივე გამჭირვალად დაკარგეს.

მათ ერთად გააზვიადეს პროლეტარიატის და გლეხ-კაცობის პოლიტიკური მნიშვნელობა დღევანდელ მოძრაობაში და წინ წამოხსნეს პოლიტიკური ბრძოლა, რომელსაც იგინისაზოგადობრივ სიღუპურისაგან ერთად ერთ მხსნელად თვლიან. ისინი მხოლოდ ერთ კარებს ხედავენ თავის წინ და ასე მიმართავენ პროლეტარებს და გლეხებს: ხელი გაუწოდეთ ბურჟუაზიულ კლასებს და ყველა ერთად, ძმურად და შეგობრულად შედით ამ კრებაში. ამით იგინი, რასაკვირველია, კლასობრივ ბრძოლას აუღუქმებენ და პროლეტარიატის თვით შემცნებას აზნელებენ. ამ გვარად იგინი წერილ-ბურჟუაზიის დამცველებად ხდებიან.

ასეთია ბ. ივ. გომართელიც, რა ნაირათო, იკითხავს ვაგირვებული მკითხველი. რახან ასეა, მივმართოთ მის წერილებს, რომელთაგან პირველი „მოგზაურის“ მე 16 ნომერში დაიბეჭდა, ხოლო დანარჩენი ორი ივერიის 114 და 118 ნომერში იყო მოთავსებული.

თავის პირველ წერილს ბ. ივ. გომართელი მატერიალისტურ შეხედულებაზე ამყარებს (რითაც აიხსნება ამ წერილის „მოგზაურშია დაბეჭდვა). ავტორი ჯერ მოკლედ განიხილავს, როგორ გადაიქცა მონობა ბატონყმობად, როგორ მოისპო ბატონყმობა და აღნიშნავს მშრომელთა დაუსრულებელ ბედშობას და მონურ, დაჩაგრულ მდგომარეობას. დასასრულ ბ. გომართელი სამართლიანი დასკვნით მიმართავს გლეხებს: „შენ თან და თან მიხვედი იმ უტყუარ დასკვნამდე, რომ გაჭირვებულს არავის აქვს არ უნდა გქონდეს გარდა სკუთარი თავისა (კურსივი ჩვენია). ტანჯვამ და შევიწროებამ შენში განავითარა სულის სიძლიერე, გულის სიმკაცრე და სივადეკე. მთელი შენი ცხოვრება, მონობიდან მოყოლებული დღევანდლამდე, მხოლოდ სასწავლებელი იყო, სადაც შენ ერთად-ერთი მასწავლებელი—ცხოვრება გამზადებდა ღეროვნად, რომ შეგგნო, თუ როგორ და რა გზით უნდა ბრძოლა ადამიანური ცხოვრებისათვის“ ასე რომ მუდმივ ეკონომიურმა ქაპანწყევტამ და უფლება-ართმეულმა არსებობამ მიიყვანა გლეხი იმ შეგნებაზე, რომ აუცილებლად საჭიროა საკუთრად გამოანახოს თავის მზავრელებთან (მემამულეებთან) საბრძოლველი გზა; რომ ის მხოლოდ თავის ძალღონეს დაემყაროს და ტყუილად არ ეძებოს რამე გარეშე დახმარება.*) აქედან ცხადია ის ლოდიკური აზრი, რომელიც უნდა დასკვნას ჩაგრულთა ინტერესების ყოველივე დამცველმა, სახელდომ: ბიუროკრატისთან

საზოგადო ბრძოლის დროს, რომელშიაც ყველა იღებს მონაწილეობას განურჩევლად კლასთა და წოდებათა, ჩაგრულთ არამც და არამც არ უნდა დაივიწყონ თავიანთ მზავრელებთან ბრძოლა და ვერც დაივიწყებენ რადგან უკანასკნელნი (მზავრელები) მეტად საგრძნობელი არიან მათთვის, და გარდა ამისა პოლიტიკური ბრძოლა არის ამასთანავე ეკონომიური ბრძოლაც. მაშასადამე, როცა გლეხები მემამულე-თავად-აზნაურობასთან ერთად მიდიან ბიუროკრატის წინააღმდეგ, მათ ყოველ ფეხის გადადგმვაზე უნდა აგრძნობინონ თავიანთ ექსპლოატატორებს, რომ იგინი ეკონომიურად გლეხების მტრები არიან, რომ მათ შორის გავალი უფსკრულია, როგორც სამართლიანად შენიშნეს მოგზაურის მე 25 ნომერში მოთავსებული წერილის ავტორებმა („ბ. ივ. გომართელის წერილის გამო“), რომ შეიძლება და საქაროც არის „ИТГИ ВРОЗЬ, НО ВМЕСТЕ БИТЬ“. ასეთი დასკვნა გამოიყვანა ბ. ივ. გომართელმაც, თუ არა? ენახოთ. „ივერიაში მოთავსებულ შემდეგ წერილებში (იხ. „ივ.“ №№ 114, 118) ბ. ივ. გომართელი განსაკუთრებით აღნიშნავს პოლიტიკურ მოძრაობის ფრიად დიდ მნიშვნელობას და მათთვის რა ყველასათვის ერთ საზოგადო მტრის, ურჩევს გლეხებს დროებით მიინც დაივიწყონ კლასობრივი ინტერესების წინააღმდეგობა, განაწილონ ეკონომიური ანტაგონიზმი და მეგობრულად გაუწოდონ ხელი თავად-აზნაურობას, რომელიც მათსათვის დანტერესებულია „გარეული მტრის“ (ბ. გომართელის სიტყვებით) მოსპობაში, თითქო ეს „გარეული მტრები“ ცხრა მთას იქიდან თავს-ესმოდენ მათ და თავად-აზნაურობის ე. ი. გლეხების პირდაპირ ექსპლოატატორთა ეკონომიურ ინტერესების დამცველი, იგივე შინაური მტრები არ იყვენ.*)

„ივერიის“ 114 ნომერში ბ. ივ. გომართელი ამბობს: „ძლიერია შენი ეკონომიური მტერი, ის ძირს უთხრის შენს კეთილ-დღეობას. თუ შენ ხშირად გშოა, ბევრჯერ გცივა...— ამგვარს შენს სიღატაკესა და დაბნელებაში დადა წადა უდგავს შენს ეკონომიურ მოწინააღმდეგეს (კურსივი ჩვენია). მკვრამ (კურს. ჩვენია) ვაცილებით უფრო ძლიერია მეორე მოწინააღმდეგე, სამოლიტიკო მოწინააღმდეგე ანუ ბიუროკრატია“, გამოიღის რომ, ამის დაგვართ გლეხებმა უნდა შეასუსტონ მემამულეებთან ბრძოლა, თვლი უნდა მოიბრძაონ ეკონომიური ანტაგონიზმის წინაშე; ბ. გომართელს სწორედ ამ გვარი დასკვნა გამოიყავს იმავე წერილში: „არ უნდა გამოწვავო (მიმართავ იგი გლეხს) შინაური ბრძოლა (კურს. ჩვენია) და არ უნდა გავრყვებოდეს, რომ თუ მთელი შენი ძალ-ღონე და ყურადღება შინაურ მოწინააღმდეგეს გადააღივ, დასუსტებულსა და ღონე-მიღეულს, გარეული მტერი უფრო მძლიერად ჩაგვიქრს ხელში“... თვალ-წინ ნაციონალ-დემოკრატები ავტონომისტები მიდგანან. ასე ხომ ისინი მიმართავენ ხოლმე ქართველ მუშებს და ვუბნებიან: თუმცა თქვენ და ქართველ კაპიტა-

*) მარა ვინაიდან ამ ბრძოლას ბიუროკრატია კლავდა მუდამ შეძლებულთა ინტერესების დაცვით, რასაკვირველია გლეხები პოლიტიკურ ბრძოლის გზაზე უნდა შემდგარიყვნენ.

*) სულ ტყუილად ირჯება ბ. გომართელი იმის დასამტკიცებლად, რომ ახლა თავდა-აზნ. და გლეხობას უნდა ვუტყუროდეთ არა როგორც წოდებებს, არამედ როგორც კლასებს, რომ როგორც თავ-აზნ. ერთი ნაწილი ლატაკება და პროლეტარდება, ისე გლეხთა შორისაც ჩნდებიან მსხვილი მესაკუთრეები. სრული ჭეშმარიტებაა და არაჟინაც არ ელავება ამაში, ხოლო თუ შემოხსენებულ წერილის („მოგზ. № 25) ავტორებს სწამებს ამას, ასეთი ბრალდება ყოველად უსაფუძლოა. ისინი სრულიად ნათლად აცხადებენ: „ამ ორ კლასთა შორის უშველებელი ორმთა ვით-ხრილია“. აქ ისინი თავ-აზნ. და გლეხებს, როგორც სხვა და სხვა კლასს, იგი, უყურებენ. თავის თავთ ცხადია, რომ, როდესაც ლაპარაკი სოფლის ეკონომიურ ბრძოლაზე, სიტყვა „თავდა-აზნაურები“ ნიშნავს მეწვეულ თავდა-აზნაურებს, ხოლო სიტყვა „გლეხები“—გაყვედილ გლეხებს, ექსპლოატაციის მსხვერპლთ.

ლისტა შორის კლასობრივი ანტაგონიზმი კი სუფევს, მარა დაიწყო კლასობრივი ბრძოლა ნაციონალური ინტერესების გულისთვის, შეუერთდით მათ და გასწით ქმურათ საზოგადო მტერის წინააღმდეგო“. სწორეთ ასე მოსდის ბ. გომართელსაც: ასე რომ ბ. გომართელზე ზედ-გამოჭრილია ხალხის ანდაზა: „ასე, ჩემო მანასეო, ხან ისე და ხან ასეო!“.

— მე ხომ მემამულეთ თავად-აზნაურობას ცყოფ გაპროლეტარებულ თავად-აზნაურებისაგანო— შეგენიზნავს ალბათ ბ. გომართელი; მე ხომ უკანასკნელებთან შეერთების ვურჩევ გლუხკაცობასო. ეს თათქმის მართალია, მარა რაკი ასეა, ნუ დაიხარებთ და წაიკითხეთ „ცნ. ფ.“ № 2820-ში მოთავსებული წერილი რედაქციის მიმართ ბ. გომართელისა: ყოველ ექვს გარეშეა, რომ ამ წერილში ბ. გომართელი მთელ გლეხობას ურჩევს მთელ თავად-აზნაურობასთან შეერთებას, აი თვითონ ის წერილიც:

«ბ-ნო რედაქტორო! გთხოვთ, ალაგი დაუთმოთ ჩემს წერილს თქვენ გახეთში. ჩემი მეორე წერილი გლუხისადმი ველარ იბეჭდება. ამ წერილში მე ვუმტკიცებ გლუხებს, რომ თავდა-აზნაურობა არ არის დღეს მისი მტერი, არამედ მტერი სულ სხვაა და ამ საერთო მტრის დასამარცხებლათ თავდა-აზნაურობა და გლუხობა უხდა შეერთდენ მეთქი. ჩემი პირველი წერილი-კი ბევრმა მკითხველმა ისე გაიგო, ვითომ მე გლუხობას თავდა-აზნაურობის წინააღმდეგ ვაქებებდე. ამგვარი ქაღალგება მე აზრათაც არ მომსვლია; პირველ წერილში მე სრულეებით სხვა ვინმე მყავდა სახეში და არა თავდა-აზნაურობა. რა აზრისაც უნდა ვიყო წოდებათა ურთ-ერთ დამოკიდულების შესახებ, დღევანდელ დღეს მინც ერთ წოდებას მოერეს არ მივუსვდვი, რადგან ეს იქნებოდა ჩემივე ხელით ჩვენის ხალხის ყელის გამოჭრა და ყალბ გზაზე შეყენება“.

— თქვენ ეს არ გგონოხთ მუშა ხალხის მიმართ შემთხვევით გასროლილი ლოზუნგი; არა, ეს არის ჩვეულებრივი ტაქტიკა ისეთი ადამიანისა რომელსაც თავისი თავი მუშა ხალხის ინტერესების დამცველი გონია და ნამდვილათ კი წვირილ-ბურჟუა დემოკრატიის შეხედულებას ვერ გაცილებია. ბ. გომართელი ტიპიური ეს-ერია.

— ეს კი ნამეტანია, ამის თქმა კი შეუძლებელია იგ. გომართლის შესახებო, წამოიძახებებს განცვიფრებული მკითხველი, დამტკიცება გნებავთ? ბატონი ბრძანდებით! თვლი გადაავლეთ ბ. გომართელის წერილის იმ ადგილს, სადაც ავტორი ავტარულ კითხვას ეხება:

„დღევანდელი ავტარულ მოძრაობას მე არ ვაძლევდი და არც ახლა ვაძლევ იმ გვარ მნიშვნელობას, როგორსაც ზოგიერთნი აძლევენ;... სამეოთხედოთ აიღებს თუ სამეათედოთ გლუხი მიწას,... ეს ბევრით ვერაფრით წასწვეს წინ გლუხის ღარიბ-ქონს. სანამ მიწა კერძო საკუთრებათ დარჩება, რაც უნდა ებრძოდოს გლუხი თავდა-აზნაურობას, ამით ის საწადელ მიზნს ვერ მიადწევს— ხსნა მხოლოთ მიწის გასაზოგადოებრივობაშია... დღევანდელი ავტარული მოძრაობა კი მაქვს გასწავლავდეთერაობას ვერას ეხათ ვერ დაამყარებს (ხაზს ჩვენ ვუსვამთ). ივერია» № 118.

ასე რომ ბ. გომართელის აზრით ყოველივე მოთხოვნა, რომელსაც გლუხი მემამულესთან ეკონომიურ ბრძოლის პროგრამაში იცხადებს, როგორც მაგ., „ამონაჭრები“— ფუქე და ამაოა, რადგან ამნაირი ეკონომიური ბრძოლა პირდაპირ სოციალიზმს ვერ დაამყარებს. აი, ნამდვილი ბერნშტეინისებური ფორმულა, მხოლოთ უკუღმა ნათქვამი: „მიზანია ყველაფერი, მოძრაობა კი არაფერი.“ ასეთ ფორმულას ყოველი ბურჟუა სიამოვნებით მოაწერს ხელს. სოციალიზმის დამყარება ბურ-

ჟუაზიულ იდეოლოგიებსაც „სწამთ“ მარა როცა საქმე მოძრაობაზე მივა, მაშინ ივინი ცდილობენ დაუმტკიცონ მუშათა კლასს, რომ სოციალიზმს დაამყარებს არა მუშათა ეკონომიური ბრძოლა ანუ კლასთა ბრძოლის გ. ვითარება, არამედ მშვიდობიანი გზა, ანუ როგორც „ივერის“ 114 ნომერში მწერს ბ. გომართელი „გონივრული საშვალება— შეთანხმება“ მიაგვრელთა და დასაგრულთა. სრული ქეშმარიტებაა: დღევანდელი ავტარული მოძრაობა, რომელიც გლუხების ცნობილ ეკონომიურ მოთხოვნებებზეა დამყარებული, ანაზღუდათ ვერ დაამყარებს სოციალიზმის, მაგრამ ნუ თუ აქედან იმ დასკვნის გამოყვანა შეიძლება, თითქო ყველა ეს მოთხოვნები ფუქი და ამაო იყოს და მათ დიდი მნიშვნელობა არ ქონდეს კლასობრივ ბრძოლაში; გავს რომ, თუ ჩვენ ასეთ გზას გვერდი აუხვიეთ— ერთ მშვენიერ დღეს მიწის სოციალიზაციას მოვახდენთ ერთბაშით! ესერების შეხედულებით სწორეთ რომ ასეა და ბ. გომართელიც ეთანხმება ესერებს, თუ რომ ზემოთ ამოწერილ ციტატას ვიქონიებთ მხედველობაში.

ბ. გომართელმა, რახან მას თავის თავი მარქსისტათ მოაქვს, კარგათ უნდა იცოდეს ავტარული პროგრამა, სადაც დღევანდელ ავტარულ მოძრაობის დროს. ყველა ეკონომიური მოთხოვნა ბატონ-ყმური წყობილების მასსპობათაა მიმართული, უშავიერესი მათი დანიშნულება კი კლასთა ბრძოლის თავისუფალი განვითარებაა სოფელში.

ახლა მინც გრძობს, ალბათ ბ. გომართელი, რომ ნე-ბსითა თუ უნებლიეთ ესერების და წვირილ-ბურჟუაზიის შეხედულებებისკენ გადახარა იგი, როდესაც გლუხებს თავდა-აზნაურობასთან შეერთება ურჩია უახლოეს საზოგადო მიზნის მისაღწევათ. ამით მან ღონდრომა კლასობრივი ბრძოლის შესუსტება, ხოლო კლასობრივი ბრძოლის პროლეტარიატის უმთავრეს საზრუნავ სკანს წარმოადგენს.

მაგრამ კმარა! ისეც გიქიანურდა წერილი. შეიძლებოდა კიდევ გვეთქვა ორიადე სიტყვა ავტარულ კითხვის შესახებ, მარა ამ წერილში ჩვენ გვინდოდა გომართელის წერილთა მიხედვით, ავტორის ნამდვილი სახე გამოგვეჩვენა მკითხველისათვის, რაც გვონებ საკმაოთ შევასრულეთ. გამოირკვა, რომ ბ. გომართელი იმ ჯურის ხალხს ეკუთვნის, რომლის მიმართ თამამათ და სამართლიანათ ითქმას: ასე, ჩემო მანასეო, ხან ისე და ხან ასეო.

კ. ანდ—შვილი.

ჩ ე ლ ა შ ე ი ნ ს ა ზ ა ნ .

იმედი გვაქვს, ეს და წინეთ დაბეჭდილი წერილები დაარწმუნებენ ბ. გომართელს, რომ ჩვენსა და მის შორის ამ შემთხვევაში სწორეთ პრინციპიალური განსხვავებაა. ვფიქრობთ, საკმაო დრო ქონდა; ჩაკვირვებოდა თავის საქციელს, რა ახლა საჭიროა მხოლოთ მკირეოდანი გულახდილობა, რომ თავისი შეცდომა აღიაროს. ყველადასთვის აშკარაა, რომ ამ შემთხვევაში ბ. გომართელი აცდა იმ მიმართულებას, რომელსაც მინც არ ეშვება— ბარტიაში არსებული უთანხმოებით უნდა ისარგებლოს და მით იმართლოს თავი მისად სამწუხაროთ, ამ კითხვაში არავითარი სადავო და საკამათო არ არის მიმდინარეობის შორის, რასაც თვით „მოგზაურში“ მოთავსებული ამნაგების წერილიც ამტკიცებს და უმცირესობა-უმრავლესობისაკენ თავის ქნევა მას არაფრათ გამოადგება. რომელი მიმდინარეობაც უნდა აიღოს ბ. გომართელმა, ამ შემთხვევაში, მის შეხედულებას ორივე უარყავს, და სჯობს ამ ხერხს თავი დაანებოს და ერიდოს უნებლიე პროვოკაციას... რაც შეეება ჩვენი რედაქციის „საქციელს“

(იხ. „ივერია“ № 118), რომელიც „ივერიის“ მკითხველებთან გადაქვს ბ. გომართელს მსჯავრის დასადებთ, და რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ „პარაკლი შეცდომისთანავე მოლაღობა *) დაწესეთ“ მას, ჩვენ საესებით გვისრულობთ პასუხას მგებობას და ვეთანხმებით შემომწერალ ავტორს, რომ იგი მართლაც დამახასიათებელია ჩვენთვის და ასეთად ჩათვალოს ყველამ, თუნდ ბ. გომართელს მკაცვრე „ს. ფურცელმა“ დღევანდელ №-ში მოთავსებულ წერილში მოყვანილია ბ. გომართელის მიერ „ს. ფურცელში“ დაბეჭდილი წერილი, და ვთხოვთ მკითხველებს, მიაქციონ მას ყურადღება და გვითხრან გულახდილად—გვექონდა თუ არა ამ წერილის შემდეგ უფლება და გვედვა თუ არა მოკლეობა, უპასუხით არ დაგვეტოვებია ასეთი ცრუპორწმუნება? გვითხრან აგრეთვე, გვაქვს თუ არა უფლება; პირადობის მიხედვით დამიკრძებით და ვფასობთ საჯაროთ გამოქვეყნების, ნაშტურ როცა მათში აღარაფერი საქვეო არ არის? ჩვენ ყოველთვის **აზრთან გვაქვს საქმე** და მას ვარჩევთ. მიუხედავად იმისა, გომართელია მისი გამომთქმელი თუ სხვა ვინმე. აი, ამ მოსახრებით გხელმძღვანელობდით ამ შემთხვევაშიაც, რასაც გულახდილად ვაცხადებთ **ჩვენი მკითხველის** წინაშე და მზათ ვართ მას მსჯავრის საკსები... დავემორჩილოთ.

ბურჟუა და პროლეტარიი)**

(თარგმანი)

გარად ამისა მსხვილი, წარმოების განვითარებასთან ერთად, როგორც დავინახეთ, გაბატონებულ კლასთა მთელი ჯგუფები პროლეტარიატთა ბანაკში გადადიან, ან არა და თავისი საზოგადოებრივი მდგომარეობის დაკარგვის შიში მიანიც იწყობს. ესენიც აღმზრდელ ელემენტებთან ითვლებიან პროლეტართა შორის.

დაბოლოს, იმ ხანებში, როცა კლასთა ბრძოლა თავის დასასრულს უახლოვდება, ძველი საზოგადოებას გაბატონებულ კლასთა გახრწნა იმ ზომამდე მიდის, რომ მას შორდება რამოდენიმე ნაწილი და ემხრობა მომავლის [დროშის მატარებელ რევოლიუციონერ კლასს. როგორც ერთხელ თავდაზნაურობის ერთი ნაწილი ბურჟუაზიის მხარეზე გადადვა და მას შეუერთდა, ისე ახლა ბურჟუაზიის ერთი ნაწილი პროლეტარიატის მხარეზე გადადის. სახალდობრ ეს ის ბურჟუა იდეოლოგები არიან, რომლებმაც თეორეტიულად შეიგნეს მთელი ისტორიული მოძრაობა.

ყველა იმ კლასთა შორის, რომელნიც დღეს ბურჟუაზიის ებრძვიან, მხოლოდ პროლეტარიატი წარმოადგენს ნამდვილ რევოლიუციონერ კლასს; ყველა სხვა კლასები მსხვილი მრეწველობის განვითარებით ეცემიან და ქრებიან; პროლეტარიატს კი ჰქმნის და ავითარებს იგივე მიზეზი.

საზოგადოების საშალა წრეები—წვრილი ვაჭრები და მრეწველები, ხელოსნები და გლეხები,—ყველანი ებრძვიან ბურჟუაზიას თავისი საშალა მდგომარეობის შესარჩენათ. მაშასადამე ისინი კონსერვატორები არიან. ეს კიდევ ცოტაა, ისინი რეაქციონერები არიან: ისინი ცდილობენ ისტორიის ჩარხა უკუღმა დაატრიალონ. და თუ იმათ რევოლიუციონერი მნიშვნელობა აქვთ, ეს იმდენათ, რამდენათაც მათ პროლე-

ტართა ბანაკში გადასვლა მოკლას და რამდენათაც ისინი არა თანამედროვე, არამედ მომავალ ინტერესს იცავენ, რამდენათაც ისინი თავისს მხედულებას ტოვებენ და ითვისებენ პროლეტარიატის მხედულებას.

„მაწინააღმდეგობის“ პროლეტარიატს, ამ ძველი საზოგადოების დაბალ ნაწილთა დარღვევის ნაყოფს, აქა იქ თან ითრებს ნამდვილი პროლეტარიატის რევოლიუციონერი მოძრაობა, მაგრამ თავისი ცხოვრების პირობების მიხედვით მუტი მიღრეკილება აქცე თავისი თავი რეაქციონერთა ობიექტად მიყიდოს.

ძველი საზოგადოების ცხოვრების პირობები პროლეტარიატისთვის ახლა სრულიათ აღარ არსებობენ; პროლეტარიატს საკუთრება არა აქვს: იმისი ცოლ-შვილითან დამოკიდებულება არაფრით არა ჰგავს ბურჟუაზიულ ოჯახურ განწყობას. თანამედროვე საწარმოებელ შრომას, თანამედროვე კაპიტალის ბატონობას, როგორც ინგლისში, ისე საფრანგეთში, როგორც ამერიკაში იქვე გერმანიაში ერთნაირად დაუკარგა მას ყოველთავე ნაციონალური ელფერი კანონები, მორალი, სარწმუნოება, პროლეტარიატისთვის მხოლოდ ბურჟუაზიული ცრუ მორწმუნებაა, რომლის ქვეშაც იმალებიან ეს თუ ის ბურჟუაზიული ინტერესები.

ყოველთავე, პროლეტარიატზე წინეთ არსებული კლასება, გაბატონებისთანავე, მოპოვებული მდგომარეობის გასაზარებლათ, ცდილობდენ საზოგადოება ისეთ პირობებში ჩაეყენებიათ, რომელიც ხელს შეუწყობდა მათ გახილდობას. პროლეტარიატს კი მხოლოდ მაშინ შეუძლია სეზოვადო საწარმოო ძალთა პატრონი გახდეს, როცა ის გაუქმებს როგორც თავისს საკუთარს, მასთან ყველა თანამედროვე წესებს ქონების შექმნისას. პროლეტარიატს არა აქვს-რა გასამაგრებელი, მან, პირიქით, უნდა დაარღვიოს კერძო უზრუნველყოფილობის და გამხილდობის გამაგრებული წესები.

ყველა დღევანდლამდე მომადარი მოძრაობა იყო მოძრაობა უმცირესობისა, ან ხდებოდა უმცირესობის სისარგებლოთ. პროლეტარიატს იმ მოძრაობა კი არის დამოუკიდებელი მოძრაობა დიდი უმრავლესობისა; უმრავლესობისავე ინტერესების გასამტკიცებლათ. პროლეტარიატს, ამ დაბალ ნაწილს თანამედროვე საზოგადოებისა, არ შეუძლია მალდა აწევა და წელში გამართვა ისე, რომ მის ზურგზე ამართული მთელი ოფიციალური საზოგადოება მიწასთან არ გასწორდოს.

პროლეტარიატის ბურჟუაზიასთან ბრძოლა, შინაარსით თუ არა, ფორმით მაინც პირველ ყოვლისა ნაციონალური ბრძოლაა. თვითეული ქვეყნის პროლეტარიატმა, რასაკვირველია პირველ ყოვლისა თავისი საკუთარი ბურჟუაზია უნდა დაამხოს.

ამგვართ პროლეტარიატის განვითარების საზოგადო მსვენლობის დახატვით ჩვენ გავითვალისწინეთ ის, ცოტათ თუ ბევრათ ფარული სამოქალაქო ომი, რომელიც თანამედროვე საზოგადოების სიღრმეში წარმოებს და მივადექით იმ საფუძურს როცა ეს ომი აშკარა რევოლიუციით იქცევა და ბურჟუაზიის დამხობით პროლეტარიატის ბატონობის საძირკველი იყრება.

ყველა დღევანდლამდე არსებული საზოგადოებრივი წყობილება, როგორც დავინახეთ, დაწყარებული იყო ტანჯულ და მტანჯველ კლასთა წინააღმდეგობაზე. მაგრამ რომელიმე კლასის დასატანჯავათ, საჭიროა ისეთი პირობების შექმნა, რომელშიაც მას თავისი ტანჯული არსებობის გაგრძელება მაინც შეეძლოს. თავისი მიმამ უღლას მიუხედავათ ყმა შეძლო კომუნდს წვერათ გაბთობა ისე, როგორც მოქალაქე, ფეოდალური ძალ-მომარეობის მიუხედავათ, ბურჟუაზი იქცა. თანამედროვე მუშა კი, პირიქით, იმას მივიჩნევ, რომ მრეწველო-

*) მოლაღობა პრინციპის ე. ი. შეცდომა, რომლის გასწორება ჯერ კიდევ შესაძლებელია, და ეურჩეთ, ნუ აყომა გულს წყრამას, შიტიობის მოქალაქობრივი ვაქცაობა.

**) იხ. მთავ. № 26

ბის განვითარებასთან ერთად მიღლა აიწიოს, განვითარდეს, თავისი კლასის არსებობის პირობათა დაბლა ეშვება. მუშა ლიტაკდება, და ეს სილატაკე უფრო სწრაფად ვითარდება, ვინემ სიმდიდრე და მცხოვრებთა რიცხვი. უფრო და უფრო თვალსაჩინო ხდება, რომ ბურჟუაზიას არ შეუძლია შეიძინოს თავისი ბატონობა და თავისი არსებობის პირობები გახადოს მთელი საზოგადო წყობილების ხელმძღვანელ ნორმათ. მას არ შეუძლია ბატონობა იზიტომ, რომ თავის მონას მონურ არსებობასაც უსპობს და იმ მდგომარეობამდე მიიყვანა ეს მონა რომ მან უნდა არჩინოს ის, ნაცვლათ იმისა რომ თითონ გამოდიოდეს მონის ხარჯზე. საზოგადოებას აღარ შეუძლია იმის ბატონობის ქვეშ იცხოვროს ე. ი. ბურჟუაზიის ცხოვრება ვერ თავსდება საზოგადოების ცხოვრებასთან.

უმთავრესი პირობა ბურჟუაზიის არსებობა ბატონობისა არის სიმდიდრის ყველა პირობა ხელში მოგროვება და კაპიტალთა უწყვეტი გამრავლება. კაპიტალის არსებობის პირობა კი არის ნაქირავები შრომა. ეს შრომა დამყარებულია მუშების ურთი ერთ შორის მეტოქეობაზე. მრეწველობის განვითარება, რომლის მატარებელიც არ შეიძლება არ იყოს ბურჟუაზია მუშათა მეტოქეობით დანაწილების მაგივრათ, ამყარებს მუშათა რევოლიუციონურ გაერთიანებას კავშირების საშუალებით. ამგვართ, მსხვილი წარმოების განვითარებასთან ერთად, ბურჟუაზიას ფებ ქვეშ ცვლება ის ნიადაგი, რომელზედაც ის აწარმოებს და ნაწარმოებს ითვისებს. ბურჟუაზია ქენის პირველ ყოვლისა თავისი საკუთარ მესაღვლეებს. მისი დამარცხება და პროლეტარიატის გამარჯვება ერთნაირად აუცილებელია.

(შემდეგ იქნება).

დედაკაცი და მისი ეპოქოიური მდგომარეობა.

(კლარა ზეტკინასი).

თარგმანი რუსულიდან.

(შემდეგ *).

ადვილათ შესაძლებელი და დასაჯერებელია, რომ ბავშვის აღზრდაში ქალი მეტ უნარსა და ნიქს გამოიჩენს, რადგანაც ამ მხრივ მას უფრო მეტი გამოცდილება აქვს, ვიდრე მამაკაცს. მაგრამ უმრავლეს შემთხვევაში ეს მასზედ მემკვიდრეობით გადმოსული ნიქი, ცალმხრივი განვითარების გამო, თან და თან ქრება და რჩება მხოლოდ ბრმა ინსტინქტათ.

აღმზრდელი უნდა ცდილობდეს აღამაღლოს ბავშვი გონებით გრძნობით, ერთი სიტყვით, გახადოს ის ნამდვილ კვათ. თანამედროვე კაცი კი წარმოადგენს მეტათ რთულ არსებას, რომლის განვითარება განსაზღვრულ კანონებს ემორჩილება.

აღმზრდელი ვერასოდეს ვერ მიღწევს თავის მიზანს, თუ რიგანათ არა აქვს შესწავლილი ფიზიკური და ფსიხიური კანონები, რომლითაც ის ბავშვის აღზრდის დროს უსათუოთ უნდა ხელმძღვანელობდეს, გარდა ამისა ის კარგათ უნდა იცნობდეს ბუნებრივს, საზოგადოებრივს და ეკონომიურ პირობებს, რადგანაც შემოხსენებული კანონები ამ პირობებში მოქმედებენ.

ყოველმა ხელოსანმა, ყოველმა მხატვარმა, კარგათ უნდა იცოდეს იმ მასალის თვისება, რომლისაგან ის რაიმე საგანს აკეთებს; ამასთან უნდა ქონდეს ტექნიკური მომზადება, რაც საჭიროა მასალის დასამუშავებლათ და საგნის გასაკეთებლათ; ესევე მოთხოვნებით იმ პირებს, რომელნიც კიდებენ ხელს

ბავშვის აღზრდას, მის განვითარებას, მისი ხასიათის, საზოგადოთ, მთელი მისი არსების გადასხვედრებას.

ჩვენ რომ რაიმე საქმის გაკეთება დაგვირდება ვეძებთ მტოდნე პირს, სპეციალისტს.

ბავშვების აღზრდას კი, რომელიც ყოველ საზოგადოებრივ ფუნქციასზე უსაქიროესია, როგორღაც არ აქცივენ ყურადღებას.

ამ ფუნქციის აღზრდული დავალებული აქვთ დედებს, რომელნიც ვითომ განგებობისაგან იყონ დანიშნულნი თავის მუშებრივ მოვალეობის აღმასრულებელათ.

საზოგადოების აზრით, ყოველ ქალს, რომელიც დედათ, გახდა, შეუძლიან ამ ძნელი და მეტათ რთული მოვალეობის შესრულება. კეთილ მოაზრე ფილისტერი ასე ასაბუთებს თავის აზრს:

„მუშებამ დააჯილდოვა ქალი დედობრივი სიყვარულის ინსტიქტით, რომელსაც აღზრდის საქმეში ვერავითარი ცოდნა ვერ შეედრება“. ჩვენ დროში, მეტი რომ არა ვთქვა, სიტყვილია ამ ინსტინქტზე ლაპარაკი; ინსტიქტი არის ბრმა და რას წაადის არ იცის, ის ვერასოდეს ვერ იზამს იმას, რასაც ცოდნა და გამოცდილება. შეიძლება ინსტიქტმა ააცილოს ბავშვს საგლაზე, მაგრამ იგივე ინსტიქტი სიკეთეს ვერ შესძენს მას.

ქალი რომელმაც არ იცის ძირითადი პირობება ბავშვის განვითარებისა, რომელიც სრულებით არ არის მომზადებული და არ იცის როგორ წარუძღვეს ბავშვის აღზრდას, რაც საჭიროა მისთვის, რომ ბავშვი ნამდვილ კაცათ გამოვიდეს, არ ვარგა აღმზრდელათ თუ გინდ მეტის-მეტათ უყვარდეს მას თავისი შვილი.

სხვა და სხვა „პოპულიარული სახელმძღვანელოები“ დედას დახმარებას ვერ გაუწევენ რადგანაც უმრავლესი დედებისთვის ეს სახელმძღვანელოები მიუწოდებულია.

ქალი, რომელიც მუშაობს ქარხანაში ათი თორმეტი და მეტი საათი, ან დილიდან საღამომდის. სახლში ტრიალებს, ვერასფერი გზით ვერ შეისწავლის იმ მეტოდებს, რომლითაც ის ბავშვის აღზრდის დროს უნდა ხელმძღვანელობდეს. დედა უკერავს თავის შვილს დახეულ საცვლებს და აძლევს მას საქმელს—ი რაში გამოიხდება მისი შვილების აღზრდა.

ყველა იმიდან, რაც ზემოთა ვთქვით, შემდეგი დასკვნა შეიძლება გამოვიყვანოთ: ბავშვების აღზრდა უსათუოთ საზოგადოების ხელში უნდა გადავიდეს; ეს საქმე, მოუშაადებელი ქალების ნაცვლათ, სპეციალისტების ხელში უნდა ჩაეზარდეს.

ამ შემთხვევაში საზოგადოებამ თავისი უფლება და მოვალეობა უნდა შესრულოს. ჩვეულების წყალობით რასაკვირველია, ჯერ კიდევ მაგრათ ჩასქიდებიან პრინციპს, რომელიც ღალადებს, რომ თვით დედა უნდა იყოს თავის შვილების აღმზრდელი, მაგრამ ცხოვრება თავისას შერება და ამ მოვალეობას თან და თან აცილის დედას ხელიდან. ყოველ შემთხვევაში, ბავშვების აღზრდა რომ სპეციალისტებს ჩაუვარდეთ ხელში საქმე არ წახდება, რადგანაც ეს საქმე დამყარებული იქნება ღრმა მეცნიერულ ცოდნაზე და არა ბრმა ინსტინქტზე. არის კიდევ სხვა, უფრო საპატიო მიზეზი, რომლის გამო ქალს არ შეუძლიან რიგანათ შესრულოს ბავშვების აღზრდის საქმე.

ვინც სხვის აღზრდას კიდებს ხელს, პირველ ყოვლისა თვითონ უნდა იყოს აღზრდილი.

ადვილი დასამტკიცებელია, რომ თანამედროვე ქალი ამ მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებს.

იმ არსებას, რომელიც მთელი საუკუნოების განმავლობაში მონურ მდგომარეობაში იყავებოდა, რომელსაც უზომოდენ

*) იხილეთ ამოცანა 4. ამ მხრივ თვითონ უნდა იქნეს ცნობილი

გრძნობას, გონებას, სტანჯადენ ფიზიკურათ, შეუძლიან განა
მოძავალი თაობის აღზრდა-განვითარებას გაუძღვეს!

საკვრველი ის არის, რომ როდესაც ქალი ეს განუვითარებ
ული არსება, მოითხოვს თავის მდგომარეობის გაუმჯობესებას და უფლებებს, მისი ბატონ პატრონი მამაკაცები არწმუნებენ მას, რომ ქალის საქმე მხოლოდ მოძავალი თაობის აღზრდაში მდგომარეობს. როცა ამას ლაპარაკობენ, ძალაუვნებურათ შეუდევი კითხვა გეხდება თავში: „ბრმას განა შეუძლია ბრმის ტარება? ქალთა ემანსიპაციის მოწინააღმდეგენი ერთი მხრით მთელ ტომებს წერენ, რომ დაამტკიცონ ქალების განუვითარებლობა, მოუშვადებლობა, ხოლო მეორე მხრით ცდილობენ ამ დაბალ საფეხურზე მდგარ არსებათ დაავალონ იმისთანა სერიოზული საქმე, როგორც ბავშვების აღზრდა; ამას, რასაკვირველია, ქალის „ბუნებრივი დანიშნულებით“ ხსნიან. ამნაირი ლოგიკა, სწორეთ მოგახსენოთ, მამაკაცის ქეუას არ ეკადრება.

ჩვენ აქ არ შეუვლდებით იმ მიზეზების გამოკვლევას, რომლის გამო ქალი დღეს ცუდ მდგომარეობაშია ჩავარდნილი, ცხოვრებასა ჩამორჩენილი. არც იმ პირობების დაფასებას გამოუვლდებით, რომელშიაც ქალი მთელი საუკუნოებით ცხოვრობდა.

ამ წუთში საქირაა მხოლოდ ქალის ჩამორჩენის და განუვითარებლობის აღნიშვნა, როგორც ფაქტის, რაც ნათლათა ყოფს იმ აზრს, რომ ქალი კარგსა და სასურველ ბავშვების აღზრდელათ ვერ გამოადგება.

მშობლებია, აშობს გიოტე, აღზრდიდენ შვილებს, რომ თითონ იყონ აღზრდილი, და ეს მართლაც არის.

არავითარი ფასი არა იქნა აგრეთვე იმ აზრს, რომ ქალის მდიდარი ბუნება ვითომ ზნეობრივათ ასპეტაკებს ბავშვს.

მოძავალი თაობისთვის ქალი ვერ იქნება დღეს სიამაყის სიძარტლის და მშვენიერების მქადაგებლათ, რადგანაც მისი წარმოდგენა სილამაზეზე, სიკეთეზე და სიძარტლეზე დამყარებულია ძველ, წარღნის დროინდელ საფუძველზე. მართლად ეს შეხედულება მუდმივ, უცვლელ იდეას ხომ არ წარმოადგენს; ყოველი იდეა-გამოხატულება ამა თუ იმ საზოგადოებისთვის და მოკიდებულია. თვითივე ებზის, თვითივე ხალხს თავის საკუთარი შეხედულება აქვს ზნეობაზე, ხედვინებაზე და მეცნიერებაზე. ახლანდელ ეპოქაში ჩვენ განვიცდით სასტიკ ბრძოლას, რომელიც არსებობს ძველსა და ახალი დროის იდეათ შორის.

ქალის მორალური შეხედულება და რწმენა შემუშავდა იმ ეპოქაში, როდესაც პატრიარხალური ოჯახის არსებობა ჯერ კიდევ ეკონომიურ პირობებს ეთანხმებოდა.

რადგანაც ქალის გონებრივ განვითარებას ხელს უშლიდენ, ოჯახიდან გარეთ გამოსვლის ნებას არ აძლევდენ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში შესაფერადგილს არ უთმობდენ, ის, რასაკვირველია, ჩამორჩა თანამედროვე ცხოვრებას. ახალმა საზოგადოებრივმა პირობებმა ხალხთა შორის ახალი დამოკიდებულება გააჩინეს და, მსთან ერთათ, დაბადეს ახალი შეხედულება ზნეობაზე, რომელიც იმდენათ განიარჩევა ძველი შეხედულებისაგან რამდენათ ახალ წარმოების პირობები ძველისგან. ახალი მორალური შეხედულების შემუშავების პროცესი ქალთა შორის მხოლოდ ეხლა დაიწყო.

როგორ შეუძლია ქალს აღზარდოს ბავშვი, რომელიც მხოლოდ ხვალ ვახთება მოქალაქეთ და რომელიც, ამიტომ, მომზადებული უნდა იყოს მოძავალი უფლებისა და მოვალეობისათვის და არა წარსულისათვის?!

კაცობრიობის ნელი და აღქმარებელი პროგრესი, სხვათა

შორის, იმითიც აიხსნება, რომ მეორე ნახევარი კაცობრიობისა, საზოგადოებრივ ცხოვრებას ვითარებასთან ერთათ, ვერ ვითარდებოდა, ცხოვრების უკან მიიჩნაწლებდა.

ქალის აზრი და შეხედულება ოჯახს არ გაცილებია.

ახალი საზოგადოებრივ მორალის წინააღმდეგ, ქალი ისევ ისე ძველ, ეგოისტურ ოჯახის მორალს აღიარებს. ყველა იმისი განთქმულა სათნოება, თავდაუწყება, თავგანწირულება და ღრმა-გრძნობიერება,—მისი ოჯახისა და ნათესავებისგან შემდგარ ვიწრო წრეში ტრიალებს.

ქალა, რომელიც მზათ არის თავის მახლობლეთათვის თავი გასწიროს, ხშირათ მეტან მეტ გულგაგებას და ეგოაზმს იჩენს საზოგადოებასადში. ეს ასევე უნდა იყოს!

ქალი, რომელიც აქამდის საზოგადო ინტერესები გარეშე ცხოვრება, რომელიც საზოგადოებრივ ცხოვრებაში არავითარ მონაწილეობას არ იღებდა, არ იცნობს, და რომ კიდევ იცნობდეს, ვერ შეთვისებია იმ საციალურ სათნოებას, რომელსაც დღეს თანამედროვე საზოგადოება თხოულობს. ქალების მხოლოდ მცირე ნაწილმა იცნო ესლა რას წარმოადგენს სიტყვა «სოლიდარობა». სხვა ქალებზე უფრო, დაბალი წოდების ქალებს ემჩნევათ ახლა თანამედროვე მორალური განვითარება; იმათ უფრო ახლო წარმოდგენა აქვთ სოლიდარობაზე და ყველა საზოგადოებრივ სათნოებაზე. უფრო რეაქციონულ და ჩამორჩენილ ელემენტს წარმოადგენენ წვილ ბურჟუაზიის ქალები, რომელთა მორალური შეხედულება ერთ წერტილზე შეჭრებულია, გაქვავებულია და წინსვლა აღარ ღირსებია.

ქალის მორალი დაძველდა, ყველა მისი საზოგადოებრივ თვისებანი უარსაყოფა შეიქმნენ. ქალს, ხშირათ, დიდი ზნეობის პატრონათ მიიჩნია თავი, თუ ის არ იპარავს, არ ატყუებს; კაცს არ კლავს და სხვის სახლ-კარს არა წევას. ის ძალიან იშვიათათ ასრულებს რაიმე სერიოზულ საზოგადოებრივ საქმეს მაშინაც კი, როდესაც ამ საქმიათვის თავის ინტერესების დათმობაც არა სჭირდება.

საზოგადოათ, ქალი ყოველთვის მზათ არის თავის ოჯახის ინტერესებს საზოგადოებრივი ინტერესები ანაცვალოს; საზოგადოებას, მისი აზრით, არავითარი უფლება არა აქვს მისგან რაიმე მსხვერპლი მოითხოვოს?

ქალის შეხედულება მორალზე ტრიალებს ოჯახში. რაც უფრო მეტს შეუძობს კაცი ოჯახისთვის და ნაკლებს საზოგადოებისთვის, მით უფრო მდლდება ის ქალის თვალში.

აქედან წარმოდგება ის გულ-გრილობა და, ხშირათ, წინააღმდეგობაც, რომლითაც დედა-კაცი მამაკაცის საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის მიღებას ეგებება.

ქალის აზრით ოჯახი და საზოგადოება წარმოადგენს ორ მოპირდაპირე, მტრულ ძალას და ის კაცი, რომელიც საზოგადო ინტერესებს ოჯახისაზე მალა აყენებს მას დამნაშავეთ და სულელათ მიიჩნია.

ამნაირი აზრი და აქედან წარმოდგარი საზოგადოებრივ ინტერესების წინააღმდეგ მტრული განწყობილება არა თუ ეთანხმება მართლ მის შეხედულებას, არამედ მთელ საციალურ წყობილებას, რომელიც, საზოგადო ინტერესებზე კი არა, კერძო ინტერესებზე დაამყარებული. ეს აიხსნება მით, რომ ქალი, წინააღმდეგ ახალი ეკონომიური პირობებისა, ისევ ისე ოჯახზე მიჯაქვული. იმ უპირატესობას, რომლითაც ქალი ოჯახში სარგებლობს, მოიპოვებს ის საზოგადოებაშიაც, თუ საზოგადოება მისთვისაც სამოქმედო ასარებათ განდება. ახალ მდგომარეობასთან ერთათ სრულებით შეიცვლება მის უფლებებზე და მოვალეობაზე წარმოდგენაც. ქალის ცხოვრებაში

საზოგადოება ოჯახის ადგილს დაიკავებს და კერძო ბედნიერება საზოგადო ბედნიერების ადგილს დაუთმობს. სანამ ქალი უკუ არ ავდებს თავის დახვეწებულ შეხედულებას, სანამ ის არ ამოღდება გრძობითა და გონებით და არ შეფიქრებება ცხოვრების ახალ პირობებს, სანამ ის წარმოადგენს რეაქციონულ ელემენტს ოჯახში და საზოგადოებაში, მანამ არ შევიდნენ ვადიდოთ ის, როგორც „საუკეთესო“ ბავშვების აღმზრდელი. ბავშვები უნდა იზრდებოდნენ მომავლისთვის და არა აწმყოსთვის.

ამიტომ აღმზრდელთა აზრი და შეხედულება ახალ ცხოვრებას უნდა ეთანხმებოდნენ.

(დასასრული იქნება).

ს ა ო ც ა რ ი დ ა ლ ბ ე ნ ი ლ ე ბ ა .

(წერილი რედაქციის მიმართ).

კვლავ მოვლდა, რომ დადგენილება არჩეული კომისიის შესახებ იმ ანტიდენტის, რომელიც მოხდა ჩემს და კორხანიდის შორის, გასდებოდა საზოგადო კრებაზე სავსებით ხანგრძლივი ბასისა, მაგრამ საზოგადოება მოტუქუებული დარჩა. კომისიის თავმჯდომარის, ექიმის გ. დ. გაბაშვილის სურვილისამებრ წავითხუღ იქნა მხოლოდ დადგენილება კომისიის და ბასის ნება კი არავის მიეცა. ეს საქციელი უმაკალოთა. ეთიკური კომისიის დადგენილება გამოიწვევს სოფელ საზოგადო კრებაში ხანგრძლივ ბასს და ხშირათ შეუტყველებს იქნება ხოლმე. ეს დადგენილება რომ ეთიკური საშუალებით სპონტანურად მოხდეს, მაშინ სხვა იყო, მაგრამ აქ სამედიკალურ საშუალებას ადგილი არ ქნდა: იმ კრებას, რომელმაც ამოიწინა კომისია, მე არ დავსწრებივარ და კომისიის წევრები ამორჩეულ იქნენ კორხანიდის და მის ამხანაგების—სთ. აზნ. სკოლის მასწავლებლების გაყვანილ და მხანაწილობით. სამედიკალურ საშუალებად მამინ იქნებოდა, თუ რომ ნახევარი წევრები მე ამომერჩია, ნახევარი კორხანიდის. ამ შემთხვევაში უბრალო კომისია იყო არჩეული და მისი გადაწყვეტილება საზოგადო კრებას უსათუოთ უნდა გადასინჯა. ამის გამო კომისიის გადაწყვეტილება **მის კერძო აზრით უნდა ჩაითვალოს**, რომელიც არც დაუშვებია საზოგადო კრებას და არც უარუევია. მასმასამე საკითხი ვერ-ვერითი გადაწყვეტილი არ არის და მის შესახებ ვეგლას უფლებას აქვს თავისი მთავლობა იქონიოს ბეჭდვის საშუალებით. ეს მით უფრო საჭიროა, რომ გამოძიების დროს მოწიქებს იმედი ქვინდათ—საზოგადო კრებაზე შეკრებულ თავის ჩვეულებას სავსებით გადამსწრე ვათ. ბუფრი იმისთანა ბირო ილაზარაკება კორხანიდის შესახებ, რომელიც კომისიის მიერ სრულიათ არ იქნენ მოწიქულები. მე თვითონ ორჯერ წარუდგინე წერილობითი მხსენება კომისიას, რომ ამ საქმის გადაწყვეტას ნუ დაჩქარებენ, რადგან პრაქტიკული მთავრობი წერილობითი საშუალებას ჩემს ბრალდების გასამართლებლათ.—კომისიის დადგენილებაზე დიდი გავლენა იქონია იმ კარგი იქნება, რომ საზოგადო სკოლის მასწავლებლები ამბობდნენ: „კორხანიდის გაშვება ჩვენი გაშვებაც იქნება და ამიტომ უფლები დარჩნობა ვინმართ მათ გასათუბებლათ. მართლაც, კორხანიდის ამხანაგებს არავითარი საშუალება არ დაზოგეს თავის და **ვოსტორგოვის მეგობრის** გასათუბებლათ, მაგრამ ეს გათუბება მასწავლებლების გაშვება, დამარცხება იყო, მათი საშუალოთ სახელის ტარება იყო. კომისიამ მასწავლებლებსაც გაუსწრო.—ერთი გარეშე მასწავლებელი ამბობდა, მე ვუწინვედი კორხანიდის თავისი სახელმძღვანელო არ გამოიტანა არც თარგმანით და არც უთარგმნელათ; რადგანაც ქართველებს აქვს შესაძლებლობა სახელმძღვანელოებს

შეკრება შეკრებებს. შეკრებები ძალიან ხაკლებათ იქნენ და სახე-ვარი კორხანიდის წინააღმდეგ დაზარალებათ თავ-გამოდებით იცავდნენ ბ-ნს კორხანიდის ბ-ნი კარიკაშვილი, მიქაბერაძე, არ. ქეთათელაძე; ნათქა და **ვლადიმერ ლორთქიფანიძე**—სთავადაზნ, სკოლაში მასწავლებლათ ნამოფი, მერე „ინობის ფურც“ თანაშორებელი. ესენი ამბობდნენ: „**კორხანიდი უშუიღურესი რადიკალი** და პრეტენსიტი; ზოგერთ სახეზე კორხანიდი ჩვენი თავისუფლათ დაზარალებდა, შაკ. ბურების ომზე... იპონიის ომზე. ბურებს ძლიან ესარხლებოდა და კინცხვად ინგლისელებს“ (კანოვლე ვრემია“ და სუფორანიც ესარხლებოდა ბურებს, მერე?) მასწავლებლები ამბობდნენ: „მაგის და არ რცხვენდათ. ბ-ნი **ილია ფერაძემ** (ეზარქიულ. სამასწავლო რჩევის წევრია) წერილობითი სახუთებით დაამტკიცა, რომ კორხანიდი შეადგინა სახელმძღვანელო ქართული სკოლებსათვის ვოსტორგოვის წინააღმდეგ; მთავრობათ და მონაწილეობათ.—უფლებაც უფრო **დაუმოკლებული წევრი** კომისიის ბ-ნი უახანაშვილი არა სთვლის შეგროვებლ მას-ლას სკოთხის გადასწვეტათ კორხანიდის შესახებ; ის არ ეთანხმება კომისიის დანარჩენ წევრებს შესახებ ბრალდების სამი მუხლის, ე. ო. „რომ ბ-ნი კორხანიდი აარადა დეკანოზ ვოსტორგოვის სკოლაში, რომ კორხანიდის სახელმძღვანელო აუფილე სლოვანტრანსლავოზურია და რომ ეს სახელმძღვანელო ანტიანტიონალურია ქართველებისათვის; ბ-ნი უახანაშვილი სავსათთ ადარებს, რომ მთავარ კითხვების შეუსწავლელათ ვერ-ვერითი ვერ ძალუის ქუდა დასდეს და ამართალი ბატონ კორხანიდის სასარგებლოთ გადასტრას.

ამ გვართ ბ-ნ უახანაშვილს საჭიროთ მიანჩა ახალი მასალის შეკრება, ამიტომ უფიელი ქართული, რომელმაც კი რამე ცნობები იცის კორხანიდის შესახებ, ვალებულია ბეჭდვის საშუალებით გამოაქვეყნოს და მხოლოთ ამის შემდეგ ქართულ საზოგადოებას ექნება სრული შეძლება უტუფარი მსჯავრი დაუდგინოს.

ლიბიტრი ღუმბაძე.

P. S. ეს წერილი „ინობის ფურცელმა“ არ დამბეჭდა, თუმცა შემინდა კი და რამდენიმე დღე წერილი რედაქციაში გაჩერა. როგორც კითხვებებს უწიეთ, ეს ვახუთი თავგამოდებით იცავდა ცნობილ ვოსტორგოვის „მოკარას“ კორხანიდის და მის მიერ შედგენილ სახელმძღვანელოს, რომელიც არავითომ ჩამოუვარდება ლევიციის მუხურ-მეთოდით შედგენილ წიგნს ქართული სკოლებსათვის. ეს ვახუთი ბეჭდვად თავის ფურცლებზე ახვარებებს (ანგარიშები სელმწიქრალი იყო ამ ინიციალით W). სთ. აზნ. სკოლის კრებების შესახებ და განზრახ ამხანაგებდა ფაქტს. ამ ვახუთის ერთი კონტრე არ დაუძრავს იმ ანტიდენტის შესახებ, რომელიც მოხდა სკოლის ერთ-ერთ საზოგადო კრებაზე და რომელმაც ადელფა იქ დამსწრე საზოგადოება. მე მოვასხენებთ თუ. სთ. აზნ. სკოლის მასწავლებლების ხზე ჩვეულებას; მათ უბრდელ საქციელზე. კვლურ და მოკრივე ზედგოგებზე.

დ. დ.

რედ.-გამომც. **ი. პ. როსტომშვილი.**